ადრეული განათლება

N2,2023

ISSN 2720-8621

9 772720 862008

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ადრეული განათლება

N2,2023

გამომცემელი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

თამარ თოლორაია
მასაჰირო კატო
ეთერ ღვინერია
ხათუნა დოლიძე
ნატო ფანჩულიძე
თამარ საღინაძე
მანანა ჩქარეული

მთავარი რედაქტორი
ნინო ლაბარტყავა

კორექტორი
მაია წიკლაური

დიზაინერი
ბესიკ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი:

თბილისი 0186, ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი, N6

ელფოსტა: info@tpdc.ge

ISSN 2720-8621

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

WWW.TPDC.GE

2 რედაქტორის სიტყვა

სკოლამდელი განათლების რეფორმა

თამარ თოლორაია
5 საჯარო და ჭეშმარიტ პარტნიორობის ალქმა ადრეული განათლებისთვის

მასაჰირო კატო
11 სამგანზოგადებლობის ანალიზი საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების დეცენტრალიზებული მართვის ჭრილში

ნინო ხითარიშვილი
23 ადრეული ალზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი ალზრდისა და განათლების დაწესებულების აკტორიზაციის მოთხოვნები ინფრასტრუქტურის მიმართ

ადრეული განათლების მეთოდოლოგია

ხათუნა დოლიძე
27 ჯერიკულუმი
ადრეული განათლების ჯერიკულუმი - თამაში

ლია ძერციკიძე
31 მშობლების განათლების მნიშვნელობა

მარიკა ჩხიკვაძე
37 ჰალლოფინის პედაგოგიკა

საერთაშორისო გამოცდილება და ადრეული განათლების სფეროს მხარდამჭერი ორგანიზაციები

თამთა ქამუშაძე, ნინო ლომაძე
46 „მულენი - ადრეულ ასაკში სწავლის უნარების შეფასების სკალის" ადაპტირება და ნორმირება

ჯანმი პრაქტიკა

ლალი ბერიანძე
49 სტუდენტი, როგორც მშობელი - გამოწვევები და ჩრობლემის გადაჭრის გზები

ნინო თურმანიძე
52 მშობლები, ოჯახები, თემი და საბავშვო ბალი: მხარდაჭერა, თანამშრომლობა და გაძლიერება

ჟურნალის „ადრეული განათლება“ შექმნაზე მომუშავე გუნდისთვის დიდი პატივია, წარმოგიდგინოთ ჟურნალის მეორე ნომერი, რომელიც, ჩვენი აზრით, მოიცავს ადრეული და სკოლამდელი განათლების აქტუალურ საკითხებს. ვფიქრობთ, შეკრებილი ინფორმაცია საინტერესო და საგულისხმო იქნება ჩვენი მკითხველისთვის და გარკვეულ წვლილს შეიტანს ადრეული და სკოლამდელი განათლების პროცესის გამრავალფეროვნებისა თუ ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

ბავშვის ფსიქოლოგიაში ცნობილია ეკოლოგიური სისტემების თეორია, რომელიც ბავშვის განვითარებას მისი გარემომცველი სამყაროს მრავალდონიანი კავშირების რთული სისტემის ჭრილში განიხილავს. თეორიის თანახმად, განვითარებაზე ერთობლივად მოქმედებს როგორც ბავშვის ბიოლოგიური ბუნება, ისე გარემო, რომელსაც თეორიის ავტორი, ური ბრონფენბრენერი, ერთმანეთში ჩასმული სტრუქტურების სახით განიხილავს. თითოეული სისტემა ასახავს როგორც ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გარემოებებს – სახლს, საბავშვო ბაღს/სკოლას, სამეზობლოს, ისე ბავშვზე ირიბად მოქმედ ფაქტორებს – მშობლების სამსახურს, მასმედიას, ქვეყანაში არსებულ ღირებულებებსა და კანონებს. ყველა ეს სისტემა, თეორიის თანახმად, ბავშვის განვითარებაზე არსებითი გავლენის მქონე ძალად განიხილება. ამასთან ერთად, ავტორის აზრით, სისტემებს შორის არსებული ნებისმიერი ურთიერთკავშირი ორმხრივია.

თეორია ბავშვის გარემოს ოთხ სისტემად წარმოაჩენს. **მიკროსისტემა** – ბავშვის უშუალო გარემოა ოჯახის, საბავშვო ბაღისა თუ სამეზობლოს სახით. ბავშვის განვითარების ხელშეწყობა მშობლების/მზრუნველების მიერ ხდება, მაგრამ იმავდროულად, ბავშვის ბიოლოგიური თუ პიროვნული თავისებურებები გავლენას ახდენს უფროსების მისდამი დამოკიდებულებასა და ქცევაზე. ასევე, ოჯახის წევრების ერთსულოვნება და სწორი ხედვა ბავშვის აღზრდის შესახებ, ხელს უწყობს მშობლის მოვალეობის შესრულებას და დადებითად აისახება ბავშვის განვითარებაზე. აღნიშნული მოდელის მომდევნო დონე – **მეზოსისტემაა**, რომელიც მიკროსისტემებს (სახლი, საბავშვო ბაღი, სამეზობლო) შორის კავშირს გამოხატავს. მაგალითად, თეორიის თანახმად, ბავშვის კეთილდღეობა საბავშვო ბაღში დამოკიდებულია არა მხოლოდ აღმზრდელის მიერ უშუალოდ ჯგუფში განხორციელებულ აქტივობებზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად თანამშრომლობს საბავშვო ბაღი და ოჯახი ერთმანეთთან; მაგალითად, რაოდენ ეფექტიანად არის დაგეგმილი საბავშვო ბაღში ბავშვის ტრანზიციის პროცესი, მონაწილეობს თუ არა ბავშვის ოჯახი რაიმე ფორმით საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პროცესში ან ხდება თუ არა მხარეებს შორის ინფორმაციის გაზიარება ბავშვის განვითარების პროცესის ხელშეწყობად. შემდეგი სისტემა **ექზოსისტემაა**, რომელიც ბავშვისაგან დამოუკიდებელი ისეთი გარემოებებისგან შედგება, რომლებთანაც ბავშვს თითქოს უშუალო შეხება არ აქვს, მაგრამ მაინც ახდენს გავლენას მის განვითარებაზე. თეორიის თანახმად, ეს არის მშობ-

ლების სამსახური, რელიგიური ინსტიტუტები, ქვეყანაში არსებული ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურები. მაგალითად, დეკრეტული შვებულების არსებობა, მოქნილი სამუშაო გრაფიკი, სამსახურებთან თუ სასწავლებლებთან არსებული საბავშვო ბაღები მშობელს ბავშვის აღზრდაში ეხმარება და პირიქით, შვილებსა და მშობლებს შორის შეზღუდული ინტერაქცია, სადაც დაძაბულობის გამო დაბალია ურთიერთობის ხარისხიც, შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს ბავშვზე (Emery & Laumann-Billings, 1998). ამიტომაც არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლება მაქსიმალურად იყოს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი, რაც ხელს შეუწყობს ბავშვებში საკუთარი თავის რწმენის, წარმატების, ცოდნის სიყვარულისა და პასუხისმგებლობით განმსჭვალული სოციალური ქცევის განვითარებას (Emery & Laumann-Billings, 1998). ბრონფრენბრენერის მოდელის გარეთა შრე **მაკროსისტემაა**, რომელიც არსებულ კულტურულ ღირებულებებს, კანონებს, ტრადიციებსა და რესურსებს მოიცავს. მაკროსისტემაში ბავშვის მოთხოვნილებების პრიორიტეტულობაზეა დამოკიდებული გარემოს შიდა დონეებზე მათი ხელშეწყობის ხარისხი. მაგალითად, მიიჩნევა, რომ საბავშვო ბაღებისადმი მაღალი სტანდარტებისა და დასაქმებული მშობლებისათვის სახელფასო შეღავათების მქონე ქვეყნებში ბავშვები, უშუალოდ გარემომცველ გარემოებებში, უკეთეს გამოცდილებას იძენენ. (ბერკი, 2010).

აღნიშნულის გათვალისწინებით, შევეცადეთ ბავშვის განვითარების ოთხივე სისტემა მიმოგვეხილა. ასევე, ჟურნალში წარმოდგენილი სტატიები ოთხ ძირითად მიმართულებად დავაჯგუფეთ.

პირველი მიმართულება ეხება **საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმის მხარდაჭერას** — ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სკოლამდელი განათლების მრავალფეროვანი ფორმების შესახებ გამოცდილების გაზიარებასა და მისი საჭიროების არგუმენტაციას, რეპრეზენტატულ შერჩევაზე განხორციელებული კვლევის შედეგების სახით, ასევე, საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობის მნიშვნელობას ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში. ადრეული და სკოლამდელი განათლების სერვისი ჩვენს ქვეყანაში, დიდ ქალაქებსა თუ სოფლებში, უმეტესად მსგავსი ფორმით — ტრადიციულ შენობებში სრულდღიანი პროგრამის სახით მიმდინარეობს. აღნიშნული ფორმით სერვისის მიწოდება მისასალმებელია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ის ვერ ითვალისწინებს ქვეყნის სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფის საჭიროებებს, მაგალითად, ქვეყანაში არსებული მაღალმთიანი თუ მეჩხერად დასახლებული რეგიონების სპეციფიკას, სადაც ადგილობრივი ბავშვები ხშირად სკოლამდელი განათლების სერვისის გარეშე რჩებიან. შესაბამისად, აღნიშნულ ნომერში თქვენ წაიკითხავთ თუ რა ხედვა არსებობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან, საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროების ჩათვლით, ადრეული და სკოლამდელი განათლების მრავალფეროვნების დასანერგად.

ამავე ნომერში გვერდს ვერ ავუვლიდით ჩვენი მკითხველისთვის მნიშვნელოვან საკითხს — საბავშვო ბაღების ავტორიზაციის პროცესს. ამჟამად მიმოვიხილავთ ავტორიზაციის მოთხოვნებს ინფრასტრუქტურის მიმართ. ქვეყანაში არსებული მუნიციპალიტეტების სპეციფიკის გათვალისწინებით, ადრეული და სკოლამდელი განათლების მრავალფეროვანი სერვისების შექმნასა თუ ფიზიკური გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა მაკროსისტემის სახით, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს სკოლამდელ განათლებაზე წვდომის უზრუნველყოფასა და ბავშვის განვითარებაზე.

მეორე საკვანძო საკითხი, რომელსაც გაეცნობით ჟურნალის მეორე ნომერში, გახლავთ საბავშვო ბაღსა და ბავშვების მშობლებს შორის თანამშრომლობის

მნიშვნელობა; კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი მშობლობის პროგრამის მიმოხილვა. მოგეხსენებათ, ამ პროგრამის მიზანი მშობლებში ბავშვის განვითარებისა და აღზრდის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელებაა. მშობლებთან თანამშრომლობის თემას ეხება პრაქტიკოსების სტატიები—თურა გზებს მიმართეს მშობლების ჩასართავად საბავშვო ბაღის ცხოვრებაში; ასევე, როგორ უზრუნველყო სასწავლო უნივერსიტეტმა საკუთარ სივრცეში „ბავშვთა ოთახის არსებობა", რითაც, ერთი მხრივ, შეუმცირა სტუდენტ მშობლებს გამოწვევები და, მეორე მხრივ, შექმნა ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული გარემო.

ჟურნალში წარმოდგენილი მესამე თემა ადრეული განათლების კურიკულუმებს და თამაშს, როგორც ადრეული ასაკის ბავშვის წამყვან ქცევას, ეხება. ჟურნალში დეტალურად არის აღწერილი „ადრეული განათლების კურიკულუმის — თამაშის" პრინციპები და სპეციფიკა; ამასთან, გამდიდრებულია პრაქტიკული მაგალითებით, თუ როგორ არის შესაძლებელი კურიკულუმის მიზნების რეალიზება ბავშვის განვითარების სტანდარტით განსაზღვრულ თემატურ მიმართულებაში. შევეცადეთ ასევე, ჟურნალში შეგვენარჩუნებინა დამკვიდრებული ხაზი და გაგვეგრძელებინა მკითხველისთვის სხვადასხვა პედაგოგიკური მიდგომის გაცნობა, ამჯერად, ვალდორფის პედაგოგიკის კონცეფციის გაზიარების გზით.

ჟურნალში განხილული მეოთხე თემა — საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობისა და წვლილის მიმოხილვაა. აღნიშნულ ნომერში გაეცნობით MAC Georgia-ს საქმიანობას პროფესიული რესურსების შექმნის მიმართულებით, კერძოდ, ერთ-ერთი ინსტრუმენტის „მულენი — ადრეულ ასაკში სწავლის უნარების შეფასების სკალა" (Mullen Scales of Early Learning) — ადაპტირებისა და ნორმირების საკითხს, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი და სასიამოვნო სიახლეა, ვინაიდან ნორმატიული ინსტრუმენტის არსებობა ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს ზუსტი და სანდო მონაცემების მოპოვების, საჭიროებების დროულად აღმოჩენისა და მიზნობრივი ინტერვენციების შემუშავების საშუალებას მისცემს.

ვფქირობთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილ სტატიებში შევეხეთ ბავშვის განვითარების ხელშემწყობი გარემოს თითოეულ სისტემას, რითაც შევეცადეთ ჩვენი წვლილი შეგვეტანა ადრეული განათლების მნიშვნელობისა და საჭიროებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საქმეში.

პატივისცემით,

ნინო ლაბარაქაძე

მთავარი რედაქტორი

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის მენეჯერი

საჯარო და კერძო პარტნიორობის აღქმა ადრეული განათლებისთვის

თამარ თოდორაია
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი

შესავალი

ადრეული განათლების გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროზე აისახება. კვლევების თანახმად, იგი კავშირშია ბავშვების, მშობლების და ოჯახების კეთილდღეობასთან. კეთილდღეობა თავისთავად გულისხმობს ადამიანის რეალიზების შესაძლებლობას და საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობის აღებას, რაც შესაძლოა შეიზღუდოს პიროვნებისგან დამოუკიდებელი ისეთი მიზეზებით, რომლებიც თავისუფალი არჩევანის არქონის პირობებში, ადამიანის ფუნდამენტური უფლების – განათლების მიღების შეუძლებლობასაც მოიცავდეს. ზოგადი განათლებისგან განსხვავებით, ადრეული და სკოლამდელი განათლება[1] არ არის სავალდებულო, თუმცა, მისი როლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება მსოფლიოს დღის წესრიგში უკვე დადგა. საქართველოში მას დღითიდღე მეტი ყურადღება ექცევა მოქმედი უნიფიცირებული მიდგომის ფარგლებში, რომელიც დომინანტურია, რეალობა კი მრავალფეროვანი ფორმების განვითარების საჭიროებაზე მიგვითითებს. განვითარებული ქვეყნების სტანდარტული მომსახურებისგან განსხვავებული წარმატებული პრაქტიკა მოსახლეობის იმ ნაწილისთვისაა, რომელზეც გეოგრაფიული მდებარეობის, ეთნიკური წარმომავლობის, თანდაყოლილი ან შეძენილი ფიზიკური თუ მენტალური განსხვავებულობის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და სხვა მიზეზთა გამო, სკოლამდელი განათლების უმრავლესობაზე მისადაგებული სისტემის სიკეთე არ ვრცელდება. საერთაშორისო გამოცდილება გვიზიარებს მრავალფეროვანი, საჭიროებებზე მორგებული მომსახურების პროცესში საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობას და საერთო მიზნის – თითოეული ბავშვის სკოლამდელ განათლებაში ჩართულობის მისაღწევად ვალდებულების, პასუხისმგებლობების და რისკების თანაბრად გადანაწილების ნიმუშებს.

წინამდებარე სტატია მიმოიხილავს საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ არსებულ ცოდნას ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებზე დაყრდნობით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადრეული და სკოლამდელი განათლების მართვაზე პასუხისმგებელმა პირებმა და კერძო სექტორის იმ წარმომადგენლებმა, რომლებსაც სკოლამდელი განათლების მიმართულებით აქტიურად უმუშავიათ ან თავიანთი კერძო ბიზნესის თუ მასშტაბური პროექტის ფარგლებში, სკოლამდელ განათლებასთანაც რაიმე შეხება ჰქონიათ.

სკოლამდელ განათლებაზე მისაწვდომობის ეტაპობრივი ზრდის მიუხედავად, საქართველოში მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ბავშვების გარკვეული ნაწილი მოკლებულია ქვეყანაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურებას. სხვადასხვა კვლევისა და ანგარიშის მიხედვით დასახელებული იმ ბავშვების რიცხვი, რომლებიც არ დადიან საბავშვო ბაღში, ვერ ჩაითვლება უტყუარ მაჩვენებლად რამდენიმე მიზეზის გამო. ესენია: გარე და შიდა მიგრაციის ფაქტორით გამოწვეული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართების არათანხვედრა, მუნიციპალიტეტების დონეზე დაბადებიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვების სააღრიცხვო ბაზის არარსებობა და სხვა. დაზუსტებული რაოდენობა შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტის მაგალითზე, იქ, სადაც გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კვლევა ჩატარდა. კვლევის არეალში მოექცა ოთხი მუნიციპალიტეტის ის სოფლები, რომლებშიც არ არსებობდა საბავშვო ბაღები მოსახლეობის სიმცირიდან გამომდინარე, ან არსებული ბაღები ვერ ახერხებდა ყველა ბავშვის დაკმაყოფილებას, მრავალრიცხოვანი მაცხოვრებლების შემთხვევაში. მაღალმთიანი, ცენტრისგან დაშორებული საცხოვრებელი ადგილი, მცირემოსახლიან თემში სტანდარტული საბავშვო ბაღის მშენებლობის მიზანშეუწონლობა, სკოლამდელი განათლების სასარგებლო გავლენის შესახებ საზოგადოების დაბალი ცნობიერება ან ადგილზე ბავშვთა აღზრდისა და განათლების სფეროში დასაქმების მსურველთა დეფიციტი იმ მიზეზთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც მჭიდროდ დასახლებული ქალაქების გამოწვევებისგან განსხვავდება. მუნიციპალიტეტები არ ეძიებენ პრობლემის გადაწყვეტის ინოვაციურ გზებს. ამას, თავის მხრივ, კანონმდებლობაში ალტერნატიული ფორმების შესახებ ჩანაწერის არარსებობა უწყობს ხელს. საკანონდებლო ბარიერის მოშლამ ისრაელში, ესტონეთში, ნორვეგიაში, პორტუგალიაში, ირლანდიაში და სხვა ქვეყნებში ალტერნატიული მომსახურებების გაჩენა წაახალისა. შედეგად გაიზარდა ბავშვების ჩართულობა და, შესაბამისად, მშობლების კმაყოფილების დონე. საუკეთესო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მომსახურების დივერსიფიცირებული ფორმების ადგილობრივ საჭიროებებთან შესაბამისობის დადგენის, შემუშავების და განხორციელების ყველა ეტაპზე თანაბრად იყო ჩართული საჯარო და კერძო სექტორი“.

საჯარო და კერძო პარტნიორობა (PP)

საჯარო და კერძო პარტნიორობის (PP) მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება როგორც აკადემიურ, ისე არასამეცნიერო წრეებში მიმდინარე დისკურსის საგანია. წარმოდგენები მის შესახებ განსხვავებულია: პარტნიორობის მომხრეები მიიჩნევენ, რომ პროექტების შექმნის, მართვის და მიმდინარეობის ეტაპზე ჩართული მხარეების რესურსებით, შესაძლებლობებით და გამოცდილებით ურთიერთშემავსებელი პროცესი, საუკეთესო გზაა საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამ მოსაზრების რადიკალურად მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ ამგვარი პარტნიორობა აშკარა პრივატიზაციის შერბილების მცდელობაა განსხვავებული აზრის მქონე საზოგადოების პოზიციის დასაბალანსებლად. სხვები კი მიიჩნევენ, რომ საჯარო და კერძო პარტნიორობა საჯარო სექტორის მიერ პროექტების ტრადიციულ მართვასა და სრულ პრივატიზაციას შორის განთავსებული ფენომენია. პარტნიორობის განმარტებებიც, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები (მსოფლიო ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი და სხვ.) გვთავაზობს, არ არის ერთგვაროვანი. შესაბამისად, ბოლო 30 წლის განმავლობაში, ჩამოყალიბდა პარტნიორობის განსხვავებული ფორმები, რომლებიც მიზნებიდან გამომდინარე, როგორც საჯაროსამარ-

თლებრივი, ისე კერძოსამართლებრივი უფლება-მოვალეობების გადანაწილების კვალდაკვალ იცვლება. ეს ბუნებრივია, რადგან ძნელად წარმოსადგენია, ინტერესთა განსხვავებულობის გამო, ინფრასტრუქტურის ან ენერგეტიკის სექტორის განვითარებისთვის შემდგარი პარტნიორობა განათლების სფეროს პირდაპირ მიესადაგოს. თუ როგორ აღიქმება საჯარო და კერძო პარტნიორობა საქართველოში, მნიშვნელოვნად განაპირობებს ადრეული განათლების პოლიტიკის განვითარებას ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების მიწოდებით გზით უთანასწორობის აღმოფხვრის, სამართლიანობის და ბავშვის ფუნდამენტური უფლებების დაცვისთვის.

მართალია, საჯარო და კერძო პარტნიორობის (P3) უნივერსალური განმარტება არ არსებობს, თუმცა, ყველა არსებულ დეფინიციას აერთიანებს შემდეგი უცვლელი და აუცილებელი მახასიათებლები:

მიზანი – საზოგადოებრივი საჭიროებისა და ინტერესის დაკმაყოფილება

პარტნიორობის წარმოშობის მიზეზი: საჯარო სექტორის მიერ მიზნის მისაღწევად არასაკმარისი რესურსები;

მონაწილე მხარეები – საჯარო და კერძო სექტორი[2]. მხარეთა შორის გაფორმებული გრძელვადიანი ხელშეკრულება;

უფლებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება, რაც ურთიერთობაში კერძო სექტორისთვის ინტერესის დაკმაყოფილების და ნებაყოფილობითი მონაწილეობის საფუძველია.

ჩვენ შევეხებით რამდენიმე ასპექტს, რომლებიც, ჩვენი კვლევის ფარგლებში, რესპონდენტების მხრიდან მკაფიოდ გამოიკვეთა.

ჩაღრმავებული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი წარიმართა ადრეული განათლების სფეროში მოღვაწე ექსპერტებთან, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. გამოკითხული პირების მოსაზრებები პარტნიორობაზე მრავალკომპონენტიანია, ამ ეტაპზე მკითხველისთვის შეთავაზებული პლატფორმის მოთხოვნების დაცვით, გამოყოფილია მხოლოდ რამდენიმე კომპონენტი, რომელიც მოიცავს მხარეთა ურთიერთსარგებლიანობის და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის აქტუალურობის ასპექტებს.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ნებისმიერ სფეროში P3 მნიშვნველოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობისთვის. მუნიციპალიტეტების მერიის წარმომადგენლები თვლიან, რომ პარტნიორობა სასარგებლო ინსტრუმენტია, კერძო სექტორის როლის გაზრდით, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პროექტების უფრო ეფექტურად განხორციელებისთვის, „სარგებელი რამდენიმეა: ბიუჯეტის ხარჯების დაზოგვა, ხარჯების ეფექტიანობის გაზრდა და ინოვაციების დანერგვა როგორც საჯარო ინფრასტრუქტურის, ასევე სერვისების მიწოდებაში, შესაბამისად, ეს არის პროექტების მენეჯმენტის ეფექტიანობის ზრდა“. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გარდა ხარჯების შემსუბუქებისა, საჯარო სექტორისთვის კერძო სექტორი საინტერესოა გამოწვევებზე მოქნილი რეაგირებით და ინოვაციურობით. „ინოვაციურობა არის ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორი, რაც განაპირობებს საჯარო სექტორის დაინტერესებას კერძოს მიმართ. მეორე (ფაქტორი) არის რესურსებზე წვდომა, რომლებიც საკმარისად არც საჯაროშია და არც კერძოში. მესამე ფაქტორად შეიძლება დასახელდეს დამატებითი სერვისების გაჩენა“. კერძო ბიზნესის წარმომადგენლების აზრით, ადგილობრივ საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობა სასარგებლოა ბიზნესისთვის ყველაზე ძვირფასი ფაქტორის – დროის დაზოგვის მიზნით, რადგან საჯარო სექტორში არსებული ცოდნა და სამოქალაქო

სექტორის განსხვავებული ხედვები ხელსაყრელია პროცესების მოკლე დროში გასაანალიზებლად. „ბიზნესი ვერ გახდება მკვლევართა ორგანიზაცია, თუნდაც საუკეთესო გუნდის არსებობის პირობებში, აუცილებელია, მან ითანამშრომლოს სახელმწიფოში არსებულ ინსტიტუტებთან, რომლებიც უკვე მუშაობენ საჭიროებების კვლევებზე, სწორედ მათგან უნდა მოვიძიოთ ინფორმაცია, რომ არ დაიკარგოს დრო, რომელიც ფულზე არანაკლებ მნიშვნელოვანი რესურსია და რომლის დაკარგვა ზოგი ბიზნესისთვის დამანგრეველიც კია. და თუ ბიზნესი უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ წავიდეს და დაეკითხოს საჯარო სექტორს, ამაში ძალიან დიდ დროს აგებს“.

ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფში მონაწილეების მიერ მოყვანილი მაგალითები ძირითადად ენერგეტიკის სექტორით შემოიფარგლება. ადგილობრივ დონეზე გამოცდილება განათლების მხრივ მოიცავს პროფესიული კოლეჯების საქმიანობას, რომელშიც მუნიციპალიტეტები ბიზნეს სექტორთან ერთად ხელს უწყობენ ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი პროფესიების გაჩენას, ახალგაზრდების ხელშეწყობას დასაქმების ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობისთვის. უმაღლესი განათლების მიმართულებით კი წარმატებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების ან სტიპენდიების გაცემის შემთხვევებს გვიზიარებენ. მაგალითების ჩამონათვალშია საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული პროექტებიც – მშენებლობა ან რეაბილიტაცია. ადრეული განათლების სფეროში საჯარო და კერძო სექტორების გაერთიანებული, გრძელვადიანი ინტერვენცია გამოკითხულთათვის თითქმის უცნობია და იხსენებენ ერთჯერადი დახმარების აქტებს. ამის მიზეზად, რესპონდენტების უმეტესობის აზრით, შეიძლება დასახელდეს საზოგადოების დაბალი ცნობიერება და ადრეული განათლების ნაკლებ პრიორიტეტულობა: „ადგილობრივი თვითმმართველობების და მოსახლეობის „დაკვეთა“ დაკავშირებულია მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან, გთხოვენ შენობის აშენებას, თუმცა, ჩვენ შევძელით მხოლოდ სათამაშოების, ტელევიზორების შეძენა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობისთვის თანხის გადახდა რამდენიმე საბავშვო ბაღისთვის, ასევე დავეხმარეთ და აღვჭურვეთ სამზარეულო გაზქურებით. იყო საწოლების პრობლემა და შევუძინეთ. ყველა დაკვეთა დავიდა აბსოლუტურად ხელშესახებ მატერიალურ ინვენტარზე, არცერთხელ დაკვეთა არ ყოფილა ტრენინგებზე ან კურიკულუმის შექმნაზე. სამომავლოდ ეზოს კეთილმოწყობასაც ვგეგმავთ, ეს არის ჩვენი ძირითადი ინტერვენცია ამ წუთისთვის იმიტომ, რომ სხვა არც გვესმის. ჩვენ ვხედავთ იმას, რაც ზედაპირზე ჩანს“.

სამოქალაქო საზოგადოება პარტნიორობას ბიზნესის წამახალისებელ ფაქტორად განიხილავს სწორედ იმ გეორგაფიულად რთულად მისადგომ ადგილებში, რომელიც მოსახლეობისგან დაცლის საშიშროების წინაშე დგას: „კერძო სექტორი უნდა დაინტერესდეს გარემოს შენარჩუნებით, ხალხის მიგრაციის შეჩერებით, ეს მის ინტერესშია, რადგან სხვანაირად ხომ შეიძლება დაუსახლებელ ადგილას ისეთი ბიზნესი წარმოიქმნას, რომელმაც შექმნას გარკვეული საფრთხე, ანუ ეს მისი ბიზნესის დაცვაცაა.., ალტერნატიული სკოლამდელი განათლების გაჩენაც მნიშნველოვანია და კერძო სექტორი ამ მიზეზების გამოც უნდა მონაწილეობდეს“. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები სამწუხარო ფაქტად მიიჩნევენ პარტნიორ მხარეთა მიერ მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტებით დაინტერესებას და ისეთ აქტივობებს, რომლებიც ქველმოქმედებად უფრო ჩაითვლება. ამ თემის გაგრძელებაა ბიზნეს სექტორის მოსაზრება წლების წინანდელი მიდგომასთან დაკავშირებით, რომელიც საგანმანათლებლო სფეროსაც მოიცავდა და დღეს სასიკეთოდ შეცვლილია. ეს ეხება ერთჯერად ინტერვენციებს, რომლებიც „უფრო მეტად ფილანტროფიასთან იყო გაიგივებული, ისინი უფრო ჰუმანიტარულ დახმარებასთან ჰგავდა. ძალიან ხშირად იყო სიუჟეტები მიუსაფართა სახლში სტუმრობაზე, მოხუცების მონახულებაზე, ან მრავალშვილიან ოჯახებში ვიზიტზე, რასაც ჰქონდა ერთჯერადი დახმარების სახე და ყოველთვის მიბმული იყო რაიმე

ღირშესანიშნავ თარიღთან: შობასთან ან აღდგომის დღესასწაულთან. თითქმის კერძო ინიციატივებამდე დაყვანილი ეს აქტივობა, ვერასდროს გახდება მდგრადი განვითარების საფუძველი“.

ეს კონკრეტული მაგალითი მეტად საყურადღებო აღმოჩნდა ბიზნესის მხრიდან ბენეფიციარებთან მიმართებაში ზოგჯერ ეთიკასთან შეუთავსებელი აქტივობების პრევენციისთვის, „ბიზნესს კარგი გაგებით, თითქოს ხელიდან გამოეცალა ბავშვთა სახლში საჩუქრებით ერთჯერადად მისვლა, რაც ტრაგიზმით აღსავსეა და ამის გაპიარება ეთიკის ზღვარზე გადის. სახელწიფო გაძლევს უკვე საშუალებას, რომ შენ უფრო გონივრულად დაეხმარო ბავშვებს, რომლებიც ოჯახს მიღმა იზრდებიან“. ამის მაგალითია დიდი ორგანიზაციების ნაცვლად მცირე და საშუალო ზომის დაწესებულებების დანერგვა, რაც სასიკეთოდ აისახა საოჯახო ტიპის სახლების ფუნქციონირებაზე მზრუნველობამოკლებული ბავშვების ოჯახური პირობებით უზრუნველყოფისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა სახელმწიფოსა და საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევის მაგალითად გამოიკვეთა.

პარტნიორობის მდგრადობის უზრუნველსაყოფად გამართული სამართლებრივი მექანიზმის არარსებობა დასახელებულ იქნა როგორც P3-ის შემაფერხებელი ფაქტორი, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სანამ სკოლამდელი განათლების დივერსიფიცირებული მომსახურების როლის მნიშვნელობა არ იქნება მთელი საზოგადოების მიერ გააზრებული, P3-ზე ისედაც შეზღუდული ცოდნა ვერ გაცდება იმ საზღვრებს, რომელშიც ადრეული განათლების მიმართულება ნაკლებად მონაწილეობს. რესპონდენტების თქმით, „ეს არის ახალი თემა, ახალი ურთიერთობა. ჩვენი ჩართულობა შემოიფარგლება ტექნიკური და მოსამზადებელი სამუშაოებით. ადგილობრივი მცირემასშტაბიანი პროექტებით კერძო სექტორი რომ ვერ ინტერესდება, ამის მიზეზია ის რთული პროცედურები, რომელიც კანონით არის განსაზღვრული და მეტწილად ცენტრალიზებულია. ენერგეტიკის გარდა კანონით უნდა განისაზღვროს სხვა სფეროებიც, სადაც როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესების თანხვედრა შედგება... სკოლამდელ განათლებაში უფრო რთულადაა საქმე და მაგალითებიც ნაკლებია, თუმცა პარტნიორობის საჭიროება არანაკლებადაა ვიდრე სხვაგან“.

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა გამოიკვეთა ბიზნეს-სექტორის მხრიდან განათლების სექტორთან მიმართებაში. თავდაპირველი მიდგომა განათლების სფეროში მოღვაწე საზოგადოების მიმართ მიჩნეული იყო როგორც ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინსტრუმენტი. როგორც რესპონდენტმა განახადა, ადგილობრივ დონეზე მასწავლებელთა, აღმზრდელთა და დაწესებულებების ადმინისტრაციის ჩართულობა თემში ცნობიერების ამაღლებას და კონკრეტული პროექტის სარგებლიანობაზე ინფორმაციის მიწოდებას მოემსახურებოდა. მოსახლეობას მკაფიო წარმოდგენა რომ ჰქონოდა იმის შესახებ, რაც უნდა გაკეთებულიყო მათი დასახლების არეალში, ბიზნესმა სტრატეგიულად მიმართა განათლების სფეროში მოღვაწე პირებს, როგორც „ადგილობრივი აზრის ლიდერებს“, რომლებიც უფრო მარტივად იგებდნენ ახალ კონცეფციებს, „მასწავლებლისთვის უფრო იოლია ჩვენი პროექტის სარგებლიანობის აღქმა, რადგან მისი განვითარების დონე სხვა არის, უფრო გათვიცნობიერებულია. ბიზნესი სამაგიეროდ იღებს დიდი დაფარვის ზონას, რადგან მასწავლებლის უკან ბევრი თაობა დგას. მასწავლებლები არიან ინფორმირებული, კეთილგანწყობილი, ნდობით აღჭურვილი და მათ შეუძლიათ ძალიან სწორად მიიტანონ შეტყობინება სოფლის თითოეულ მოსახლემდე“. მასწავლებლების, როგორც ბიზნეს სექტორის „ელჩებად“ განსაზღვრამ შედეგად მოიტანა ბიზნესის მხრიდან ერთის ნაცვლად ბევრი პროექტის განხორციელება. შედეგად მრავალფეროვანმა ბიზნეს პორტფოლიომ მოიცვა განათლების სხვადასხვა საფეხურები, მათ შორის სკოლამდელიც. „უკვე გვინდოდა ჩვენი ნიშა დაგვეჭირა და ვფიქრობ, აქ იყო სწორედ ძა-

ლიან სტრატეგიული გადაწყვეტილება მიღებული. თავიდან დავიწყეთ სკოლის ასაკის ბავშვებზე გათვლა, და შემდეგ დავინახეთ მთლიანი ციკლი შეკვრის აუცილებლობა, უნდა ჩავსულიყავით ქვევით, და ეს იქნებოდა ბაღთან დაკავშირებულ ინტერვენციები. და როდესაც ჩვენ დავიწყეთ ფიქრი, რა შეიძლებოდა გაგვეკეთებინა სტუდენტებისთვის, აქაც ძალიან სტრატეგიულები ვიყავით და მუნიციპალიტეტების საჭიროებებს მოვერგეთ დასაქმების ბაზრის გათვალისწინებით“.

მთელს ამ პროცესში პრობლემად გამოიკვეთა პრიორიტეტების განსაზღვრა. პრიორიტეტად კი ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან კვლავ ინფრასტრუქტურა სახელდებოდა: „ნაკლებად მახსენდება ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრისას ვინმეს ეთქვას, კურიკულუმის განვითარებაში დაეხმარეთ საბავშვო ბაღს ან სკოლას, ყველას უნდა სარიტუალო სახლი, სკოლის აშენება, ბაღში საქანელების დადგმა. რასაც გავაკეთებთ, აუცილებლად უნდა იყოს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმებით“.

თუ როგორ იქცა ბიზნესის მარკეტინგული გათვლა, რესპონდენტის სიტყვებით, „საგანმანათლებლო საზოგადოების ინფლუენსორობა ბიზნესის მზა რეცეპტის გასავრცელებად კერძო სექტორის პროფილის გაფართოებისა და საზოგადოებისთვის მეტი სიკეთედ გარდაქმნად, იმ კონსტრუქციული დიალოგის მიზეზია, რომელიც ურთიერთნდობით დაიწყო და პარტნიორობად ჩამოყალიბდა. „აუცილებელია თავიდანვე შეიქმნას განწყობა, რომ ეს იქნება პარტნიორული ურთიერთობები, რადგან ბიზნესი არასოდეს გაღიარებს თანასწორად თუ არ გახდი მისი გრძელვადიანი პარტნიორი, და თუ ჩვენ გვინდა ბიზნესი ჰუმანიტარული დახმარების მიმწოდებლად განვიხილოთ, მაშინ ეს არ არის P3, ეს ჰუმანიტარული დახმარებაა“. სამოქალაქო საზოგადოება მიიჩნევს, რომ პარტნიორობა ყოველთვის საზოგადოებისთვის სიკეთის მომტანი უნდა იყოს. თუ როგორ განთავსდება მასში კერძო სექტორის (მეტი მოგება) და საჯაროს (საზოგადოებრივი სიკეთე) ინტერესები ერთად, დიალოგით იწყება, რომელშიც საზოგადოების წევრები ერთნაირად უნდა მონაწილეობდნენ. „დიალოგი ქმნის ერთობლივ ინიციატივებს, რასაც კერძო სექტორი შემოჰყავს იქ, სადაც მისი ნაკლებობაა, მოსახლეობაც აქტიურდება იქ, სადაც მას აზრს ეკითხებიან და უსმენენ, არასამთავრობო ორგანიზაციები ძლიერი მხარეა საერთაშორისო გამოცდილებით და შედეგების გაზიარებით, რომელიც ორიენტირი იქნება თუ როგორ უნდა დავიწყოთ ურთიერთობა და განვსაზღვროთ თანამშრომლობის სფეროები. ეს ყოველივე ქმნის მზაობას და მოტივაციას ადგილობრივი პროექტების განხორციელებაში, ჩვენ გვჭირდება დახელოვნება ამ მიმართულებით“.

განხორციელებული კვლევის მიგნებები, რომლებიც ამ სტატიაში არასრულადაა მოყვანილი, საკმარისია იმისთვის, რომ დავასკვნათ, საიდან უნდა დაიწყოს გულახდილი დიალოგი ჩვენთვის საინტერესო სფეროს – სკოლამდელი განათლების პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. რადგან ისტორიულად და კონსტიტუციურად განათლება სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, და P3-ის ინიციატორიც, უმეტესწილად, საჯარო სექტორია, მანვე უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი იმ ბარიერების მოსაშლელად, რომელზეც კვლევის პროცესში მონაწილე პირებმა გულახდილად ისაუბრეს. ეს ბარიერები მოიცავს ადრეული განათლების მრავალფეროვანი მომსახურების მნიშვნელობაზე საზოგადოების დაბალ ცნობიერებას და P3-ის სარგებლიანობისთვის შეზღუდული არეალის არსებობას. სკოლამდელი განათლების სფეროში მომსახურებების ფართო არჩევანი ნებისმიერი მოქალაქისთვის საკუთარი ფუნდამენტური უფლების დაცვის მეტი შესაძლებლობაა, ხოლო საერთაშორისო საზოგადოებისთვის P3-ის კიდევ ერთი ინოვაციური ნიმუში, სადაც ყველა სექტორის ჩართულობა უზრუნველყოფილია საზოგადოების საკეთილდღეოდ.

1 სტატიაში „ადრეული განათლება“ და „სკოლამდელი განათლება“ თანაბარი მნიშვნელობით გამოიყენება

2 კერძო სექტორში, გარდა ბიზნესისა, მოიაზრება ყველა არასაჯარო ორგანიზაცია: სამოქალაქო სექტორი, კერძო მომგებიანი და არამომგებიანი ორგანიზაციები, დონორები საერთაშორისო ორგანიზაციები, კორპორაციები, საქველმოქმედო ფონდები და სხვ.

სამართლიანობის ანალიზი საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების დეცენტრალიზებული მართვის კონტექსტში

მასაჰირო ჯაფო
იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადრეული განვითარებისა და განათლების მრჩეველი

წინაპირობა და მიზანი

ადრეული განვითარების (ECD) შედეგებისა და ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომის მიმართულებით თანასწორობის მიღწევა მდგრადი განვითარების მიზანს წარმოადგენს (SDGs) (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2017). აღნიშნული მოთხოვნა მსოფლიოში სულ უფრო ფართოდაა აღიარებული, როგორც ადამიანისა და სოციალური განვითარების ოპტიმალური საფუძველი. თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჯერ არ არის დამტკიცებული სამართლიანობის პრინციპზე ფოკუსირებული ადრეული განათლების სტრატეგია. ხარვეზის აღმოსაფხვრელად ჩატარდა კვლევა 2022 წლის ოქტომბრიდან – 2023 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში. კვლევა მიზნად ისახავდა შეგვესწავლა: (i) ბავშვის ადრეული განვითარების (ECD) შედეგები და ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომის მაჩვენებლები სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფისთვის (ii), დეცენტრალიზებული ადრეული განათლების (ECE) მმართველობის სისტემაში სამართლიანობის მიღწევის ხელის შემშლელი სტრუქტურული ბარიერები. (iii) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის 2022-2030 დოკუმენტზე დაყრდნობით განგვესაზღვრა ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომის და ადრეული განვითარების (ECD) შედეგებში თანასწორობის მიღწევის გზები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული პოლიტიკისათვის.

კვლევის შეკითხვები

ზემოთ მოყვანილი წინაპირობებისა და მიზნის გათვალისწინებით, კვლევის შეკითხვები (RQ) შემდეგნაირად იყო სტრუქტურირებული.

კვლევის დიზაინი

ადრეული განათლებისა[1] და ბავშვის განვითარების თანასწორობის შესახებ თეორიული დისკუსიების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (Alcott et al. 2018; Cameron, Daga, and Outhred 2018; Raikes et al. 2016; Rebello, Yoshikawa, and Boller 2011; Stewart 2013; World Bank 2006), ჩავატარეთ კვლევა, რომელიც ფოკუსირებული იყო საქართველოში სხვა-

ცხრილი 1: კვლევის კითხვარის სტრუქტურა

ძირითადი შეკითხვები		
■ როგორია ადრეული განვითარების შედეგები და ადრეულ განათლებაზე წვდომა, სამართლიანობის თვალსაზრისით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფში? ■ როგორ არის დაძლეული სკოლამდელი განათლების სფეროში სამართლიანობის კუთხით არსებული ხარვეზები, სფეროს დეცენტრალიზებული მართვის სისტემის პირობებში?		
ქვე-შეკითხვები		
თემა/მეთოდი	**რაოდენობრივი მეთოდი**	**თვისებრივი მეთოდი**
თემა 1: სამართლიანობა ადრეული განვითარების შედეგებისთვის	RQ1.1: რამდენად თანაბარია საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვების განვითარების შედეგები საქართველოს რეგიონების, სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების, გენდერის, ეთნიკური წარმომავლობისა და ოჯახის ეკონომიკური სტატუსის მიხედვით?	RQ1.2: როგორ არის გათვალისწინებული სკოლამდელი განათლების სფეროთი დაინტერესებული მხარეების სამოქმედო გეგმებში – ბავშვების ადრეული განვითარების ხელშესაწყობად სამართლიანობის პრინციპები სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის და რა ხედვა აქვთ მათ იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც განაპირობებს საქართველოში სხვადასხვა სოციალური ჯგუფის უთანასწორობას?
თემა 2: ECE სამართლიანობა ადრეულ განათლებაზე წვდომის მიმართულებით	RQ2.1: როგორ უმკლავდება სკოლამდელი განათლების სისტემა სამართლიანობასთან დაკავშირებულ ხარვეზებს სხვადასხვა ჯგუფისთვის: საქართველოს რეგიონების, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, გენდერის, ეთნიკური წარმომავლობისა და ოჯახის სტატუსის გათვალისწინებით.	RQ2.2: როგორ ხედავენ სკოლამდელი განათლების სფეროთი დაინტერესებული მთავარი მხარეები ადრეულ და სკოლამდელ განათლებაზე წვდომის პრობლემას სამართლიანობის თვალსაზრისით და იმ სირთულეებს, რომლებიც დეცენტრალიზებული მართვის სისტემას ახასიათებს?

დასხვა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფის ადრეული განვითარების (ECD) შედეგებისა და ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომის მიუკერძოებელ შესწავლაზე. გამოვიყენე კვლევის შერეული მეთოდი. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა სტატისტიკური მონაცემების შესაგროვებლად – თუ როგორია ბავშვების ადრეული განვითარების შედეგები ადრეულ განათლებაზე წვდომის თვალსაზრისით (ნაწილი 1). რაოდენობრივ კვლევას მოჰყვა თვისებრივი კვლევა, რომელიც ეხებოდა ძირითადი დაინტერესული მხარეების წარმოდგენების შესწავლას სამართლიანობის პრინციპების, ადრეული განვითარების შედეგებისა და ადრეულ განათლებაზე წვდომის კავშირის შესახებ – ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის დეცენტრალიზებული მართვის პირობებში (ნაწილი 2). ორივე კვლევის კონსოლიდირებული შედეგები გამოვიყენე დასკვნებისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად და წარსადგენად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის.

ნაწილი 1: რაოდენობრივი კვლევის მეთოდი

კვლევის პროცესში შევისწავლეთ საქართველოს 2018 წლის მრავალინდიკატორიანი კლასტერული კვლევის (MICS) მეორადი მონაცემები, რათა შეგვედგინა ადრეული ასაკის ბავშვების განვითარების (RQ1.1) შედეგებისა და ადრეულ განათლებაზე წვდომის (RQ2.1) თანასწორობის რაოდენობრივი პროფილები საქართველოს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფისათვის. კვლევისას გამოვიყენეთ მრავალინდიკატორიანი კლასტერული კვლევის (MICS) 3-4 წლის 1042 ბავშვის მონაცემები, როგორც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შერჩევა. სხვადასხვა ჯგუფს შორის (ადრეული განვითარების შედეგების, ადრეულ განათლებაზე წვდომის, რეგიონის, გენდერის, ეროვნებისა და ეკონომიკური კვინტილების მიხედვით) სტატისტიკურად სანდო განსხვავებების დადგენის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ადრეული განვითარების შედეგებისა

და ადრეულ განათლებაზე წვდომის განაწილების ჯვარედინ ანალიზს. მრავალინდიკატორიან კლასტერულ კვლევაში გამოყენებული იყო ორი მეთოდი (i) სტანდარტული MICS-ის ბავშვის განვითარების ინდექსის (ECDI) მეთოდოლოგია, რომელიც ათ შეკითხვაზე დაყრდნობით აფასებს ბავშვის განვითარების სტატუსს ბინარული ინდიკატორის მიხედვით (შეესაბამება თუ არა ბავშვი „განვითარების სტანდარტის ინდიკატორებს")[2]. თითოეული შეკითხვა 0-დან 10 ქულიან სკალაზე ფასდება. აღნიშნულმა მეთოდმა საშუალება მოგვცა გაგვეანალიზებინა ადრეული განვითარების შედეგებში უთანასწორობის ხარისხი, რაც გამოიხატა სხვადასხვა ჯგუფის ქულებს შორის გამოვლენილ დისპერსიაში[3]. აღნიშნულის განხორციელების შესაძლებლობას ვერ მოგვცემდა მხოლოდ ბავშვის განვითარების ინდექსის ECDI მეთოდოლოგიის გამოყენება. ამიტომ დავეყრდენით იმავე შერჩევის მონაცემებს სკოლამდელ განათლებაზე წვდომის მიმდინარე სტატუსის შესახებაც[4].

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოვიყენე ეკოლოგიური სისტემების მოდელი (ESM) (Bronfenbrenner 1979, 2005), რამაც საშუალება მომცა აღმეწერა სხვადასხვა დონის სოციალური სისტემების (თემი, მუნიციპალიტეტი, განათლების სამინისტრო) დინამიკა ადრეული განვითარების (ECD) შედეგებისა და ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომის თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ნაწილი 2: თვისებრივი კვლევის მეთოდები

თვისებრივი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა ძირითადი დაინტერესებული მხარეების წარმოდგენები ადრეული განვითარების (ECD) შედეგების თანასწორობის შესახებ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფსა (RQ1.2) და მუნიციპალიტეტში—(ii) რა ბარიერები არსებობს საქართველოში, ადრეული განათლების (ECE) დეცენტრალიზებული მმართველობის პირობებში, ადრეულ განათლებაზე (ECE) სამართლიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად (RQ2.2). ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების (FGD) შედეგად შეგროვდა თვისებრივი მონაცემები დაინტერესებული მხარეების სამი ჯგუფის მონაწილეობით: (1) განათლების სამინისტროს სკოლამდელ განათლებაზე (ECE) პასუხისმგებელი ორი თანამშრომელი, (2) თოთხმეტი თანამშრომელი 6 ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და (3) ორი ადრეული განათლებისა (ECE) და ადრეული განვითარების (ECD) პარტნიორი სააგენტოს პროგრამების მენეჯერები.

ძირითადი მიგნებები და დისკუსია

კრიტიკულად გავაანალიზეთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები, რათა მიგვეღო ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ადრეული განათლების ხელმისაწვდომობის სამართლიანი უზრუნველყოფის ძირითადი მახასიათებლები და გამოგვეყო ის სტრუქტურული გამოწვევები, რომლებიც გადაჭრას საჭიროებს.

რეგიონებსა და სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებს შორის არსებული თანასწორობის ხარვეზები

რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა გამოავლინა ადრეული განათლების (ECE) წვდომასა და ბავშვების ადრეული განვითარების (ECD) შედეგებში სამართლიანობის მნიშვნელოვანი ხარვეზები საქართველოს რეგიონების, ეთნიკური ჯგუფებისა და ოჯახების ეკონომიკური სტატუსების მიხედვით. ეროვნული უმცირესობების ჯგუფების (სომეხი და აზერბაიჯანელი), სოფლის მთიანი რეგიონების (განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი) და ეკონომიკურად დაუცველი ოჯახების ბავშვები განსაკუთრებით დაუცველები აღმოჩნდნენ ადრეულ განათლებაზე წვდომისა და ადრეული განვითარების (ECD) შედეგების თვალსაზრისით (დიაგრამა 1, 2).

ცხრილი 2. ცხრილი თვისობრივი კვლევის მონაწილეთა და მონაცემთა მოგროვების მეთოდების შესახებ

ჯგუფი 1:
ადრეული განვითარებისა და განათლების ძირითადი თანამშრომლები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში

ინდივიდუალური, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები

მონაწილეები	პლატფორმა
1. მენეჯერი, სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტი	Microsoft Teams
2. პროგრამის მენეჯერი, ადრეული და სკოლამდელი განათლების განყოფილება	

ჯგუფი 3:
განვითარებაზე მომუშავე პარტნიორი ორგანიზაციების ადრეულ განვითარებასა და განათლებაზე მომუშავე ძირითადი თანამშრომლები

ინდივიდუალური, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები

მონაწილეები	პლატფორმა
1. გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდი, ადრეული განათლების სპეციალისტი	Microsoft Teams
2. ეთნიკური ინტეგრაციისა და ინტერეთნიკური ურთიერთობის ცენტრის პროგრამის მენეჯერი	პირისპირ

ჯგუფი 2. ადრეული განვითარებისა და განათლების ძირითადი თანამშრომლები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში

ფოკუს ჯგუფის დისკუსია

ფოკუს ჯგუფი	მუნიციპალიტეტი	რეგიონი	მონაწილეები	პლატფორმა
ჯგუფი 1	ახალციხე	სამცხე-ჯავახეთი	1 ბაღის გაერთიანების თანამშრომელი 1 რესურსცენტრის თანამშრომელი	პირისპირ
	ნინოწმინდა		1 ბაღის გაერთიანების თანამშრომელი 1 რესურსცენტრის თანამშრომელი	
	წალკა	ქვემო ქართლი	1 ბაღის გაერთიანების თანამშრომელი 1 რესურსცენტრის თანამშრომელი	ქართულიდან ინგლისურზე თარგმნის უზრუნველყოფა
ჯგუფი 2	ახალციხე	სამცხე-ჯავახეთი	1 ბაღის გაერთიანების თანამშრომელი 1 რესურსცენტრის თანამშრომელი 1 ფსიქოლოგი	
	ასპინძა		1 ბაღის გაერთიანების თანამშრომელი 1 რესურსცენტრის თანამშრომელი	
	ბორჯომი		1 ბაღის გაერთიანების თანამშრომელი 1 რესურსცენტრის თანამშრომელი 1 სოციალური სერვისის	

გარდა აღნიშნულ ჯგუფებს შორის არსებული უთანასწორობისა, კვლევის შედეგებში გამოვლინდა აგრეთვე, უშუალოდ ჯგუფებს შიგნით არსებული მოწყვლადობა. ადრეული განვითარების (ECD) ინდექსის ქულათა დაბალი საშუალო მონაცემების გარდა, აღნიშნულ ჯგუფებს აქვთ უფრო დიდი დისპერსია თავად ჯგუფის შიგნითაც (დიაგრამა 4, სურათი 5) მიიჩნევა, რომ ამგვარი შედეგები ასახავს აღნიშნული ჯგუფების ბავშვების უფრო მეტ მოწყვლადობას სხვა ჯგუფებთან შედარებით, გამოავლინონ უფრო დაბალი შედეგები, ადრეული განვითარების თვალსაზრისით.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების, ეკონომიკურად დაუცველი ოჯახებისა და და იზოლირებულ თემებში სოფლად მცხოვ-

დიაგრამა 1: ბავშვების რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი არიან ადრეულ განათლებაში რეგიონების მიხედვით



დიაგრამა 2. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების ჩართულობა ადრეულ განათლებაში



დიაგრამა 3: ადრეული განვითარების (ECD) ინდექსის ქულების დისპერსია (0–10 ქულა) რეგიონების მიხედვით



დიაგრამა 4. ადრეული განვითარების ECD ინდექსის ქულების დისპერსია (0-10 ქულა) ეთნიკური ჯგუფების მიხედვით



რები მოსახლეობის მონაცემები მნიშვნელოვნად ემთხვევა ერთმანეთს, რაც ამძაფრებს მათ მოწყვლადობას, როგორც ეს ნაჩვენებია დიაგრამა 5-ში. დამთხვევის ასეთი ტენდენცია განსაკუთრებით შესამჩნევია სამხრეთ მთიან რეგიონებში, როგორებიცაა სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი. ეს რთული გეოდემოგრაფიული გამოწვევები მოითხოვს ყურადღებას პოლიტიკის დონეზე და მიზანმიმართული ინტერვენციების განხორციელებას.

დიაგრამა 5: მოწყვლადი ჯგუფების გადაფარვა



ECE – სოციალური გათანაბრების მაღალი პოტენციალის მქონე საშუალება

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის შედეგები ნათლად გვიჩვენებს, რომ აღნიშნული ჯგუფების ბავშვებს შეუძლიათ მეტი სარგებლის მიღება ადრეული განათლებისგან (ECE), რაც ზრდის ბავშვების ადრეული განვითარების (ECD) შედეგებს. ეს კი თავისთავად შეამცირებს ჯგუფებს შორის არსებულ განსხვავებებს (დიაგრამა 6). ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომის გათანაბრების ეფექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენისა და მეტყველების განვითარების სფეროში, ენობრივი ბარიერის დასაძლევად—ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებისთვის, თუნდაც ბილინგვური განათლების მეთოდოლოგიის გარეშე (დიაგრამა 7). ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომის გათანაბრების ეფექტი ასევე შესამჩნევია ეკონომიკურად დაუცველ ჯგუფებსა და რეგიონებში, თუმცა განსხვავებული დონით. მიუხედავად მნიშვნელოვანი გათანაბრების ეფექტისა, ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომა დაუცველ ჯგუფებში მაინც მნიშვნელოვნად დაბალი რჩება. კვლევის შედეგებმა გამოავლინა მოწყვლადი ჯგუფებისთვის ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომისა და ადრეული განვითარების შედეგების გაუმჯობესების დასაჩქარებლად პოლიტიკური ყურადღებისა და სპეციალური სტრატეგიების განხორციელების საჭიროება.

დიაგრამა 6 : ადრეული განვითარების (ECD) ინდექსის საერთო ქულის დისპერსია სიმდიდრის ინდექსის კვინტილსა და ადრეულ განათლებაში (ECE) დასწრების მიხედვით



დიაგრამა 7: ბავშვების რაოდენობა, რომელთაც აქვთ კარგი მაჩვენებლები წიგნიერებასა და რაოდენობრივ წიგნიერებაში საბავშვო ბაღებზე წვდომასა და ეთნიკური ჯგუფების მიხედვით



სკოლამდელი განათლების დეცენტრალიზებული მართვის სისტემის გამოწვევები საქართველოში

სკოლამდელი განათლების ძირითადი დაინტერესებული მხარეების თვისებრივი კვლევის შედეგი ავლენს სტრუქტურული ბარიერების არსებობას, რომელიც ხელს შეუწყობდა ადრეული განათლების (ECE) წვდომისა და ადრეული განვითარების (ECD) ხელშესაწყობად სამართლიანი მიდგომის განხორციელებას. საქართველოში კვლევისას მიღებული შედეგების გათვალისწინებითა და ეკოლოგიური სისტემების მოდელზე დაყრდნობით შევიმუშავე დიაგრამა დისკუსიის კონცეპტუალური საფუძვლის სადემონსტრაციოდ (დიაგრამა 8).

დიაგრამა 8: ეკოლოგიური სისტემის მოდელი (ESM) სტრუქტურული ბარიერების კონცეპტუალიზაციის მიზნით, თანასწორი ადრეული განათლების ECE და ადრეული განვითარების EDC დებულებების უზრუნველსაყოფად საქართველოში



სტრუქტურული მოთხოვნა-მიწოდების შეუსაბამობა სკოლამდელ განათლებაში (ECE)

კვლევამ გამოავლინა საქართველოში სკოლამდელი განათლების (ECE) სერვისებზე მოთხოვნა-მიწოდების აშკარა შეუსაბამობა. ყველა სოციალურ ჯგუფში არსებობს მკვეთრი განსხვავება სკოლამდელ განათლებაზე (ECE) მაღალ მოთხოვნასა და სერვისის მწირ მიწოდებას შორის. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ევალებათ უზრუნველყონ სკოლამდელ განათლებაზე (ECE) წვდომა ყველა 2 წლიდან სკოლაში შესვლამდე ასაკის ბავშვისთვის. დეცენტრალიზაციის პირობებში, ადგილობრივ მთავრობებს უფრო მეტი ეფექტიანობა მართებთ ადრეული განათლების (ECE) სერვისების მოსარგებად ადგილობრივ კონტექსტსა და საჭიროებებზე. თუმცა, როგორც კვლევამ აჩვენა, ბევრი ადგილობრივი მუნიციპალიტეტი არ მოქმედებს ეფექტიანად მოწყვლადი მოსახლეობის ჯგუფებისთვის ადრეული განათლების (ECE) სერვისების გასამრავალფეროვნებად. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ადრეული განათლების (ECE) სერვისები ძირითადად ხორციელდება ტრადიციული საჯარო საბავშვო ბაღების მეშვეობით, რომლებიც სთავაზობენ ბავშვებს უფასო, სრულდღიან პროგრამას კვებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელი ემსახურება ეკონომიკურად დაუცველ ოჯახებსა და დასაქმებულ მშობლებს, დამოკიდებულება მხოლოდ საჯარო ბაღებზე ქმნის პრობლემას სკოლამდელი განათლების სერვისის მიწოდებისთვის მეჩხერად დასახლებული სოფლის თემებში. ეს კი აძლიერებს ვაკუუმს ადრეული განათლების სერვისების წვდომაზე დაუცველი მოსახლეობისთვის. ევროპასა და სხვა რეგიონებში, სულ უფრო მეტად იზრდება ადრეული განათლების (ECE) ალტერნატიული მოდელებისა და მოქნილი პროგრამების რაოდენობა, რომლებიც გამომდინარეობს ადგილობრივი საჭიროებებიდან (მაგ.: საოჯახო ბავშვზე ზრუნვის სერვისები). ხოლო სახელმწიფო არეგულირებს სერვისის ასეთი ფორმების ხარისხის სტანდარტებს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ინფორმირებულობა ალტერნატიული ადრეული განათლების (ECE) სერვისების შესახებ ჯერ კიდევ დაბალია, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სხვა პარტნიორები ეთანხმებიან ალტერნატიული მოდელების პოპულარიზაციის აუცილებლობას. ისინი მიიჩნევენ, რომ მუნიციპალიტეტის საჭიროებების მიხედვით უნდა მოხდეს საჯარო საბავშვო ბაღების ჩანაცვლება ალტერნატიული მოდელებით. დივერსიფიცირებული ადრეული განვითარებისა და ადრეული განათლების მოდელების სისტემატიზაციას აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი დაძლიოს ქვეყანაში სერვისის მიწოდება-მოთხოვნას შორის არსებული სხვაობა და სამართლიანად შეუწყოს ხელი ადრეული ასაკის ბავშვების განვითარებას.

ვერტიკალური და ჰორიზონტალური ბარიერები

თვისებრივი კვლევის შედეგად, გამოვლინდა სკოლამდელი განათლების დეცენტრალიზებული მმართველობის პირობებში სტრუქტურული გამოწვევის არსებობა ვერტიკალური ბარიერებისა (განათლების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის) და ჰორიზონტალური ბარიერების (მუნიციპალიტეტებს შორის) სახით, რომლებიც ხელს უშლიან სამართლიანობას ადრეული განვითარებისა და ადრეული განათლების სფეროში.

ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა და ფოკუს ჯგუფებმა გამოავლინა, რომ იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე წელი გავიდა ადრეული განათლების (ECE) მმართველობის დეცენტრალიზებიდან, მაინც არსებობს ბუნდოვანება განათლების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ითანამშ-

რომლონ და მიაღწიონ საერთო მიზანს ადრეული განვითარებისა და ადრეული განათლების სფეროში. კვლევამ გამოავლინა მუნიციპალიტეტებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლების განსხავებული მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოგვარდეს სკოლამდელ განათლებაში (ECE) არსებული ხარვეზები, რაც ვლინდება ადრეული განათლების ECE ალტერნატიული მოდელების შესახებ ამ უწყებების განსხვავებულ ხედვაში. როგორც ნაჩვენებია ზემოთ მოცემულ ეკოლოგიური სისტემების მოდელის ESM-ის დიაგრამაში (დიაგრამა 8), ეს ვერტიკალური ბარიერი აშკარად დამკვიდრდა სკოლამდელი განათლების (ECE) მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის შედეგად, რაც, თავის მხრივ, ქმნის ბარიერებს სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების დონეებზე—ხედვების, ცოდნისა და შესაძლებლობების ეფექტური გაზიარებისა და თანამშრომლობის თვალსაზრისით.

ამას გარდა, გამოვლინდა ჰორიზონტალური განსხვავებები მუნიციპალიტეტების ხედვებს შორის ადრეული განათლების (ECE) ხელმისაწვდომობისა და ადრეული განვითარების (ECD) შედეგების გაუმჯობესების შესახებ, გამომდინარე მათი ინფორმირებულობის დონისა და შესაძლებლობებიდან.

ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთი მუნიციპალიტეტი, მიუხედავად მათი რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა, უკეთ ინფორმირებულია და მეტ ძალისხმევას ხარჯავს ადრეულ განათლებაზე (ECE-) წვდომასა და ადრეულ განათლებაში (ECD) სამართლიანობის მისაღწევად. მაშინ როცა, ზოგიერთი მუნიციპალიტეტი არ მიიჩნევს პრობლემად ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომის სამართლიანობასთან დაკავშირებულ ხარვეზებს და ამას გარდაუვალ მოვლენად განიხილავს. ასევე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებს შორის არ არსებობს გამოცდილების სისტემატური გაზიარების პრაქტიკა; არ არსებობს ეროვნულ დონეზე არც სისტემა, რომლის საფუძველზეც მოხდება რესურსების განაწილება ნაკლებად პრივილეგირებულ მუნიციპალიტეტებში. რაზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჰორიზონტალური დისბალანსი ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს შორის და სტრუქტურული უთანასწორობა ადრეული განვითარების შედეგებსა და ადრეული განათლების წვდომაზე ისეთ რთულ რეგიონებში, როგორებიცაა სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი შენარჩუნდება, თუ არ შეიქმნება ასერტული, გამათანაბრებელი სისტემა.

ძირითადი რეკომენდაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის

კვლევის შედეგებმა გამოავლინა, სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარების პროექტებზე დაფუძნებული მიდგომიდან ინსტიტუციონალურ მიდგომაზე გადასვლის პროცესში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაძლიერებული ტექნიკური გაძღოლის საჭიროება შემდეგი მიმართულებებით: (i) ადგილობრივი მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების სისტემატური განვითარება, (ii) ალტერნატიული ადრეული განათლების (ECE) მოდელების დანერგვა და (iii) ადრეული განვითარებისა (ECD) და ადრეული განათლების (ECE) შედეგების მონაცემთა სამართლიანი მართვა საქართველოს მასშტაბით. კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებები ჩამოყალიბდა რეკომენდაციებად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის, რაც წარმოდგენილია ცხრილის სახით. იხ. ცხრილი N 2.

დასკვნა

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზმა გამოავლინა საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფში ადრეული განვითარების (ECD) შედეგებისა და ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომის უთანასწორობის სტრუქტურული ხარვეზები. ადრეული განვითარების

ცხრილი 3: ძირითადი რეკომენდაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს; შედეგების მატრიცა

თემა	მოკლევადიანი (2024) მტკიცებულებების გამომუშავება და ფუნდამენტური მუშაობა	საშუალოვადიანი (2027) განხორციელება და სამომავლო ჭვრეტა	გრძელვადიანი (2030) ინსტიტუციონალიზაციის სისტემა და შესაძლებლობები	შედეგები
ადგილობრივი მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების განვითარება	ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სიტუაციისა და შესაძლებლობების შეფასება შესაძლებლობების განვითარების სტრატეგიისა და მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება.	ყველაზე ნაკლებად ქმედუნარიან მუნიციპალიტეტებზე ფოკუსირებული შესაძლებლობების განვითარების პროგრამის გაფართოება.	შესაძლებლობების განვითარების პროგრამისა და მისი შედეგების უწყვეტი შეფასება.	ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გაერთიანებული შესაძლებლობები და მიდგომები.
დივერსიფიცირებული ადრეული განათლების (ECE) მოდელების უზრუნველყოფა	ადრეული განათლების (ECE) ეფექტიანი ალტერნატიული მიდგომების გამოსავლენად არსებული საპილოტე მოდელების კვლევა. ადრეული განათლების (ECE) ალტერნატიული მიდგომის ინტეგრირება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების განვითარების პროგრამაში.	ადრეული განათლების (ECE) ალტერნატიული მოდელების ინტეგრირება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სამუშაო გეგმებში. ადრეული განათლების (ECE) ალტერნატიული მოდელებისთვის ეროვნული მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება.	ადრეული განათლების (ECE) ალტერნატიული მოდელების სერვისების განხორციელებისა და ეფექტის შეფასების განზოგადება.	ადრეული განათლების (ECE) ალტერნატიული მოდელები ინსტიტუციონალიზებულია ეროვნული და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე.
თანასწორობაზე ორიენტირებული ადრეული განვითარებისა (ECD) და ადრეული განათლების (ECE) მონაცემთა სისტემის დაფუძნება	ადრეული განვითარებისა (ECD) და ადრეული განათლების (ECE) მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემის პროტოტიპის შექმნა და პილოტირება.	თანასწორობაზე ფოკუსირებული ადრეული განვითარებისა (ECD) და ადრეული განათლების (ECE) მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემების ინტეგრირება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფუნქციებში. თანასწორობაზე ადრეული განვითარებისა (ECD) და ადრეული განათლების (ECE) მონაცემთა შეგროვების ინტეგრირება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში.	თანასწორობაზე ფოკუსირებული ადრეული განვითარებისა (ECD) და ადრეული განათლების (ECE მონაცემთა საინფორმაციო პოლიტიკისა და პროგრამების რეგულარული მიღება.	თანასწორობაზე ფოკუსირებული მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემა დანერგილია და ფუნქციონირებს როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე.

(ECD) შედეგების გაუმჯობესებისა და ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომის გაზრდის მიზნით, განისაზღვრა საქართველოს მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ჯგუფები – ეროვნული უმცირესობები, სოფლის მთიანი რეგიონები და ეკონომიკურად დაუცველი ოჯახები. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ის მოწყვლადი ჯგუფები, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ჩართვა ადრეულ განათლებაში (ECE), რჩებიან ამ სერვისის მიღმა. კვლევის შედეგებმა აგრეთვე დაგვანახა, თუ როგორ არის შესაძლებელი ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომის უზრუნველყოფა სტრუქტურული უთანასწორობის შემცირების კუთხით. თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზმა გამოავლინა, რომ სკოლამდელი განათლების დეცენტრალიზებული მართვის სისტემის პირობებში, ვერტიკალური ბარიერები (სამინისტრო – მუნიციპალიტეტები) და ჰორიზონტალური ბარიერები (მუნიციპალიტეტებს შორის) ქმნის ძირითად სტრუქტურულ ბარიერს სამართლიანობის პრინციპის განხორციელებისთვის, რომელიც იქნებოდა მიმართული ადრეული განვითარების (ECD) შედეგებისა და ადრეულ განათლებაზე (ECE) წვდომის სამართლიანი უზრუნველყოფისკენ.

მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ადრეული განვითარების (ECD) შედეგების გაუმჯობესებისა და ადრეულ განათლებაზე წვდომის ზრდის მიზნით, სამართლიანობის პრინციპის დანერგვა შესაძლებელი გახდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლის გაძლიერების შემთხვევაში – ინსტიტუციონალური სისტემის მშენებლობისა და მუნიციპალიტეტების ტექნიკური დახმარების პროცესში.

1 სტატიაში „ადრეული განათლება“ და „სკოლამდელი განათლება“ თანაბარი მნიშვნელობით გამოიყენება

2 MICS-ში ECD ინდექსის დეტალებისთვის იხილეთ UNICEF-ის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო (2017)

3 შერჩევის მონაცემთა გაფანტულობის საზომი საშუალო არითმეტიკულის მიმართ.

4 MICS კითხვის პუნქტზე დაყრდნობით: „ესწრება ამჟამად ECE პროგრამას?“

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალკოტი, ბენი, პოლინ როუზი, რიკარდო საბატესი და როდრიგო ტორესი. 2018 წ. „ეროვნული განათლების დაგეგმვის თანასწორობის გაზომვა“. გვ. 80-107 სახელმძღვანელოში განათლებაში თანასწორობის გაზომვის შესახებ. მონრეალი, კვებეკი: იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი.
2. ბრონფენბრენერი, ური. 1979. ადამიანის განვითარების ეკოლოგია: ექსპერიმენტები ბუნებისა და დიზაინის მიხედვით. კემბრიჯი, მასა: ჰარვარდის უნივერსიტეტის გამოცემა.
3. Bronfenbrenner, Urie, ed. 2005. ვაქცევთ ადამიანებს ადამიანებად: ბიოეკოლოგიური პერსპექტივები ადამიანის განვითარების შესახებ. Thousand Oaks: Sage Publications.
4. კამერონი, სტიუარტი, რაჩიტა დაგა და რეიჩელ აუთრედი. 2018. „სწავლაში თანასწორობის გაზომვის კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბება“. გვ. 16-45 სახელმძღვანელო განათლებაში თანასწორობის გაზომვის შესახებ. მონრეალი, კვებეკი: იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი.
5. რაიკსი, ები, შელდონ შეფერი, კერი პროულქსი და სტივენ ლაი. 2016 წ. გლობალური ანგარიში – თანასწორობა ადრეულ ბავშვობაში. ლეიდენი, ნიდერლანდები: ონტარიოს ინსტიტუტი განათლების სფეროში.
6. რებელო, პია, ბრიტო ჰიროკაზუ იოშიკავა და კიმბერლი ბოლერი. 2011 წ. „ადრეული ასაკის ბავშვების განვითარების პროგრამების ხარისხი გლობალურ კონტექსტში: ინვესტიციის დასაბუთება, კონცეპტუალური ჩარჩო და გავლენა კაპიტალზე: (692632011-002).“
7. სტიუარტი, ფრენსის. 2013. „მიდგომები უხარისხობისა და უთანასწორობის მიმართ:“ 50.
8. UNICEF. 2017. „ბავშვთა ადრეული განვითარების ინდექსის განვითარება MICS კვლევებში“.
9. გაერთიანებული ერები. 2017. ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის. W. Rosa-ს რედაქციით. Springer Publishing Company.
10. მსოფლიო ბანკი. 2006. მსოფლიო განვითარების ანგარიში 2006: თანასწორობა და განვითარება. ვაშინგტონი, DC: მსოფლიო ბანკი.

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის მოთხოვნები ინფრასტრუქტურის მიმართ

ნინო ხითარიშვილი
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება მრავალ კომპონენტიანი საკითხია და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ბავშვების ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე ხარისხიანი განათლების მიწოდებისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული და მიწოდებული კურიკულუმი, საგანმანათლებლო პერსონალის კვალიფიკაცია, საგანმანათლებლო რესურსები და შენობის ინფრასტრუქტურული მოწყობა. სწორედ აღნიშნულის გამო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებმა (შემდგომ-ავტორიზაციის სტანდარტები) დაფარა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი შემუშავების პროცესშია. ამასთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა რთულად წარმოსადგენია საჭირო ინფრასტრუქტურული რესურსის განსაზღვრისა და მისი ხარისხის კონტროლის გარეშე. ამ მიმართულებით ავტორიზაციის სტანდარტების დამტკიცებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. შემუშავებულმა დოკუმენტმა დაფარა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ბაღში სავალდებულოდ საჭირო ფუნქციური სივრცეების ჩამონათვალი, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და მინიმალური აღჭურვილობა.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ბაღების ინფრასტრუქტურულ მოწყობასთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს.

შენობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

ბაღი შეიძლება განთავსდეს პირველ, პირველ და მეორე, ან პირველ, მეორე და მესამე სართულზე. რეკომენდებულია ბაღი ცალკე მდგომ შენობაში იყოს განთავსებული, თუმცა ეს სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ ბაღი განთავსებული იქნება შენობაში, რომელიც სხვა მიზნისთვისაც გამოიყენება, მაშინ ბაღს უნდა ჰქონდეს იზოლირებული შესასვლელი შენობაში და იზოლირებული ეზო/გარე სივრცე.

ფუნქციური სივრცეები

ბაღში სავალდებულოდ არსებული სივრცეების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა როგორც ბავშვების, ისე ბაღის პერსონალის ინტერესები. ამასთან, ბაღს მიეცა შესაძლებლობა თავად დააგეგმაროს აღნიშნული სივრცეები და ამ პროცესში გაითვალისწინოს კურიკულუმის სპეციფიკა, შენობის არქიტექტონიკა, სართულების რაოდენობა და სხვა, სპეციფიური მახასიათებლები.

ბაღს უნდა ჰქონდეს შემდეგი სავალდებულო სივრცეები:

ჯგუფური ოთახი. ჯგუფური ოთახების განლაგებაში ბაღი თავისუფალია. ერთადერთი მნიშვნელოვანი საკითხი რაც ამ შემთხვევაში არის გასათვალისწინებელი, გახლავთ ბავშვების ასაკი და სართულებზე ოთახების განლაგება. ადრეული ასაკის (0-2 წელი) ბავშვების ჯგუფური ოთახები აუცილებლად პირველ სართულზე უნდა იყოს განთავსებული, სხვა ასაკობრივ კატეგორიაში კი ბაღი თავისუფალია. თუ ბაღი მხოლოდ სკოლამდელი ასაკის (2-6 წელი) ბავშვებს ემსახურება, მაშინ რეკომენდებულია 2-3 წლიანი (ე.წ. „ბაგის“) ჯგუფები პირველ სართულზე გაანაწილოს, ხოლო უფრო მაღალი ასაკის ბავშთა ჯგუფები – ზედა სართულებზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მესამე სართულზე მხოლოდ სასკოლო მზაობის ჯგუფების (5 წლიდან სკოლის პირველ კლასში შესვლამდე) განთავსებაა შესაძლებელი, ისიც შემდეგი პირობების კუმულატიური დაცვით:

- მესამე სართულის კიბის უჯრედს დასაწყისში უნდა ჰქონდეს დამცავი ბარიერი;
- მესამე სართულზე განთავსებული უნდა იყოს სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის;
- მესამე სართულთან დაკავშირებით დაცული უნდა იყოს სახანძრო უსაფრთხოების მიერ დადგენილი მოთხოვნები.

მესამე სართულის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულება ასევე თავისუფალია, ეს სივრცე გამოიყენოს ადმინისტრაციული ოთახებისთვის, მარაგების ოთახისთვის, სარეკრეაციო სივრცეებისთვის და სხვ.

იმ შემთხვევაში, თუ კურიკულუმის მეთოდოლოგია ითვალისწინებს საერთო სივრცეს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის, მაშინ ასეთი სივრცის ფართი უნდა იყოს ბავშვზე არანაკლებ 2 კვ.მ.

საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე. ადრეული (0-2 წლამდე) და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში (2-3 წელი) საძინებელი უნდა განთავსდეს იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია. ზედა ასაკობრივ ჯგუფებში საძინებელი ოთახის არსებობა სავალდებულო მოთხოვნად არაა განსაზღვრული, თუმცა აუცილებელია, რომ დასვენების შესაძლებლობა, სურვილის ან საჭიროების შემთხვევაში, ჰქონდეს ყველა ბავშვს.

გასახდელი სივრცე. შემდეგი ფუნქციური ზონა, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბაღს გახლავთ გასახდელი სივრცე. ბაღი თავისუფალია აღნიშნული ზონა განათავსოს შენობის ერთ ადგილზე ან ამ მიზნით გამოყოს რამდენიმე ალტერნატიული სივრცე. გასახდელი სივრცისთვის ცალკე იზოლირებული ოთახის დათმობა არ არის აუცილებელი. ის შეიძლება მოეწყოს ნებისმიერ, ამ მიზნისთვის მოსახერხებელ ღია სივრცეშიც, მთავარია, რომ გასახდელ ზონაში პირადი ნივთების შესანახად თითოეულ ბავშვს ჰქონდეს გამოყოფილი ადგილი.

დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი. აღნიშნული სივრცე შეიძლება განთავსდეს როგორც უშუალოდ ბაღის შენობაში, ასევე ეზოში – განცალკევებულად.

ადმინისტრაციული სამყოფები. ბაღი თავისუფალია ადმინისტრაციული ოთახები განათავსოს მისთვის სასურველ სართულზე, მისთვის სასურველი განლაგებით და რაოდენობით. ამასთან, აუცილებელია

ბაღში გამოყოფილი იქნეს სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის. ეს სივრცე მნიშვნელოვანია ბაღის პერსონალისთვის სხვადასხვა საქმიანობის დასაგეგმად, სამუშაო ჯგუფების შეკრებისთვის და ზოგადად, თანამშრომლობაზე ორიენტირებული ორგანიზაციული კულტურის ფორმირებისთვის.

თანამშრომლობითი სივრცის ორგანიზებისთვის ბაღმა შეიძლება გამოყოს კონკრეტული ოთახი ან შეიძლება ეს ზონა მოაწყოს სხვა სივრცესთან ერთად. მთავარია, რომ ბაღის პერსონალს ჰქონდეს შესაძლებლობა შეკრების, საკითხების გუნდურად განხილვისა და გადაწყვეტისთვის.

სივრცე მეძუძური დედების მიერ ბავშვების კვებისა და მოვლის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული სივრცის ვალდებულება განესაზღვრებათ მხოლოდ იმ ბაღებს, ვინც ახორციელებს ადრეული ასაკის (0-2 წელი) ბავშვების მომსახურებას.

სამედიცინო მომსახურების სივრცე. აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფს ბავშვისთვის, საჭიროების შემთხვევაში, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას. ამ ეტაპზე აღნიშნული სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო დონეზე რეგულაცია არაა განსაზღვრული, თუმცა, უახლოეს მომავალში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ იგეგმება ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესის შემუშავება.

კვების ბლოკი. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვება წარმოადგენს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების სავალდებულო ნაწილს. შესაბამისად, ბაღი ვალდებულია ჰქონდეს კვების ბლოკი. კვების ბლოკის მოწყობა და აღჭურვა დამოკიდებულია კვების უზრუნველყოფის იმ ფორმაზე, რომელსაც ბაღი იყენებს.

სანიტარული კვანძები ბავშვებისა და პერსონალისთვის. ბაღს უნდა ჰქონდეს იზოლირებული სანიტარული კვანძები ბავშვებისა და პერსონალისთვის. ბავშვების სანიტარული კვანძები აღჭურვილი უნდა იყოს საბავშვო ზომის უნიტაზებითა და ხელსაბანებით შემდეგი პროპორციით: ერთი უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე და ერთი ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე. ამასთან, ბაღში განთავსებული უნდა იყოს არანაკლებ 1 ადაპტირებული სანიტარული კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის და არანაკლებ 1 ადაპტირებული სანიტარული კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრული პირებისთვის. სანიტარულ კვანძებში დაცული უნდა იყოს პრივატულობა.

ეზო/გარე სივრცე. ბაღს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მიზნებისთვის უნდა ჰქონდეს ეზო ან/და გარე სივრცე. გარე სივრცედ შეიძლება გამოყენებული იქნეს შენობის სახურავი მოწყობილი მაქსიმუმ მესამე სართულის იატაკის დონეზე ან/და ვერანდა. ამასთან, ეზოს/გარე სივრცის ფართი ბავშვთან მიმართებაში უნდა იყოს 3 კვ.მ. 1 ბავშვთან შეფარდებით. ეზოს სავალდებულო აღჭურვილობად განსაზღვრულია: სასრიალო, საქანელა, საქვიშე, სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის, სკამები/ დასაჯდომი და მაგიდა, მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი, სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის, საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები, ბალანსის აღჭურვილობა, სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის.

ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელსაც განსაკუთრებუ-

ლი ყურადღება ექცევა ავტორიზაციის პროცესში. ამ მიზნით, ბაღს მოეთხოვება ჰქონდეს როგორც შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ დასკვნა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ასევე თავად უზრუნველყოს შენობის ყველა კრიტიკულ წერტილში უსაფრთხოება.

ქვემოთ წარმოგიდგენთ რამდენიმე საკითხს, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ბაღმა ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოებისთვის:

ეზოს/გარე სივრცის უსაფრთხოება – ეზოს/გარე სივრცე უნდა იყოს შემოღობილი არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის ღობით. შემოზღუდვას/ღობეს არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. ეზოს/გარე სივრცის ის ადგილები სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან რბილი საფარით უნდა იყოს დაფარული.

ფანჯრების უსაფრთხოება. დაწესებულების ყველა ფანჯარაზე რომელიც იღება, სავალდებულოა კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერის მოწყობა, რომელიც ბავშვებს გადავარდნისგან დაიცავს.

კიბის უსაფრთხოება. კიბეს ორივე მხრიდან უნდა მიჰყვებოდეს მოაჯირი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას არ ესაზღვრება კედელი/კედლები). ასევე, კიბეს ორივე მხრიდან უნდა მიჰყვებოდეს ბავშვის სიმაღლის სახელური. მოაჯირებზე/სახელურზე წვეტიანი ელემენტების დამონტაჟება არ შეიძლება. კიბის უჯრედი მოპირკეთებული უნდა იყოს მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ამ თვისებას შეინარჩუნებს სველ მდგომარეობაშიც.

მინის ტიხრების და მინის კარების უსაფრთხოება. თუ ბაღში არის მინის ტიხრები/კარები, ისინი უნდა დაიფაროს მსხვრევის საწინააღმდეგო ფირით ან დამზადდეს ნაწრთობი მინისგან ან ისეთი ტექნოლოგიით, რომ დამსხვრევის შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას. ამასთან, მინის ტიხრები და კარები უნდა იყოს მარკირებული, რათა ბავშვებმა ადვილად შეძლონ მათი შემჩნევა და არ დაეჯახონ.

მინიმალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ბაღს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვანი მიწოდების მიზნით მოეთხოვება ჰქონდეს სულ მცირე შემდეგი აღჭურვილობა: ბავშვის ზომის და ბავშვთა რაოდენობის შესაბამისი მაგიდები და სკამები, თაროები და კარადები ჯგუფური ოთახებისთვის, საწოლები, სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერი და პრინ-ტერი.

ჟურნალი

ადრეული განათლების ჟურნალი – თამაში

ხათუნა დოლიძე
ფსიქოლოგიის დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
ბავშვის განვითარების ინსტიტუტის
ადრეული ინკლუზიური განათლების
მიმართულების ხელმძღვანელი

ადრეული განათლების ეტაპი კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვის ცხოვრებაში. ხარისხიან განათლებაში კი ცენტრალური ადგილი კურიკულუმს უკავია. ხშირად გვესმის ტერმინი კურიკულუმი, თუმცა ყოველთვის ბოლომდე გასაგები არ არის მისი შინა-არსი. სტატიაში განვიხილავ ადრეული განათლების კურიკულუმის სპეციფიკას, მის მნიშვნელობას და განვითარებად ტენდენციებს. მოკლედ მიმოვიხილავ ადგილობრივ კურიკულუმს – „თამაშს“ და გადამწყვეტ ნაბიჯებს მის ეფექტურად განხორციელებაში.

რა არის ჟურნალი

„კურიკულუმი“ ნებისმიერი საგანმანათლებლო სისტემის საფუძველია, არ არის მხოლოდ თამაშებისა და აქტივობების ერთობლიობა, ან საგანმანათლებლო პროცესის გეგმა/გეგმები. კურიკულუმი ასახავს რას და როგორ სწავლობენ და ვითარდებიან ბავშვები ზოგადად, რა საგანმანათლებლო გამოცდილებას და გარემოს სთავაზობენ ბავშვებს. მისი სპეციფიკის გაგება და მისი მნიშვნელობის აღიარება ფუნდამენტურია ბავშვებისთვის ხარისხიანი საგანმანათლებლო გამოცდილებისა და პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.

ჟურნალის შემუშავების ტენდენციები

განათლების სივრცე მუდმივად იცვლება და ვითარდება, რაც მზარდი კვლევებით, საზოგადოების მუდმივად ცვალებადი საჭიროებებითა და ტექნოლოგიური მიღწევებით არის განპირობებული. კურიკულუმის შემუშავების ბოლო ტენდენციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადრეული განათლების ფორმირებაზე, რომლის მიზანი ბავშვების 21-ე საუკუნის გამოწვევებისთვის მოამზადებაა.

თამაშზე დაფუძნებული სწავლება. იმის გაცნობიერებით, რომ თამაში ბავშვის განვითარების, სამყაროს შესწავლისა და კვლევის ბუნებრივი გზაა, ადრეული განათლების თანამედროვე კურიკულუმები სულ უფრო მეტად უსვამს ხაზს თამაშზე დაფუძნებულ სწავლებას. ეს მიდგომა ასევე აერთიანებს სტრუქტურირებულ სათამაშო აქტივობებსაც, რაც ხელს უწყობს შემოქმედებითობას, პრობლემის გადაჭრას და სოციალურ განვითარებას. თამაშზე დაფუძნებული სწავლება უზრუნველყოფს, რომ სწავლა ბავშვისთვის სასიამოვნო და მიმზიდველი პროცესი იყოს.

ამომავალი (ემერჯენტული) კურიკულუმი. ემერჯენტული კურიკულუმი პასუხობს ბავშვების ინტერესებს, კითხვებსა და იდეებს. ხისტი წინასწარ განსაზღვრული აქტივობების ნაცვლად, ის აღმზრდელებს უბიძგებს საგანმანათლებლო პროცესი ბავშვების ინტერესებსა და ცნობისმოყვარეობას მოარგონ. ბავშვზე ორიენტირებული ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროცესი თითოეული ბავშვის სწავლისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყოს.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლება. ადრეული განათლების კურიკულუმები ასევე მოიცავს კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც გულისხმობს ბავშვების წახალისებას დასვან კითხვები, იკვლიონ და

პასუხები კეთების გზით აღმოაჩინონ. ეს მიდგომა არა მხოლოდ ბავშვის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას ავითარებს, არამედ ხელს უწყობს მათ კრიტიკული აზროვნებას და ცნებების უფრო სიღრმისეულ გაგებას.

სოციალურ-ემოციური სწავლება. სოციალური და ემოციური განვითარების მნიშვნელობის აღიარებით, ადრეული განათლების კურიკულუმები აერთიანებს სოციალურ-ემოციური სწავლების კომპონენტებს. ეს მოიცავს ბავშვებისთვის თვითცნობიერების, ემოციური რეგულირების, ემპათიისა და სოციალური უნარების სწავლებას და განვითარებას, რაც აუცილებელია პოზიტიური ურთიერთობებისა და საერთო კეთილდღეობის შესაქმნელად.

ბუნებაში სწავლა. ეს გულისხმობს გარე სწავლებას, რაც ხელს უწყობს ბუნებასთან ღრმა კავშირების დამყარებას. ასეთი კურიკულუმები, როგორიცაა ტყე-ბაღი, მოიცავს გარეთ სწავლის გამოცდილებას, რაც არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს, არამედ ბავშვების ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობას აძლიერებს.

ადრეული განათლების კურიკულუმის შემუშავების ეს ახალი ტენდენციები პრიორიტეტს ანიჭებს ასაკის და განვითარების შესაბამის, ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომებს, რაც ბავშვების უნიკალურ თავისებურებებს ითვალისწინებს. ეს კურიკულუმები მიზნად ისახავს ისეთი საგანმანათლებლო და მასტიმულირებელი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების ცნობისმოყვარეობას, კვლევას და ჰოლისტურ განვითარებას.

ადგილობრივი კურიკულუმი: პრინციპები და სპეციფიკა

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსალური ჩარჩო აუცილებელია, ეფექტური კურიკულუმის შემუშავებისას თანაბრად მნიშვნელოვანია ადგილობრივი კონტექსტის, კულტურის და საჭიროებების გათვალისწინება.

ადრეული განათლების კურიკულუმი – **თამაში**, რომელიც 2020 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიცირებით შეიქმნა, თავის ათ პრინციპში სრულად ასახავს ზემოთ აღწერილ თანამედროვე და ინოვაციურ ტენდენციებს.

კურიკლუმის პრინციპებია:

- ბავშვი ცენტრალური აქტორია თავის სწავლასა და განვითარებაში.
- ხარისხიანი განათლება ინკლუზიურია.
- განვითარება ჰოლისტურია.
- ბავშვი ინდივიდია, სწავლა და განვითარება - ინდივიდუალური.
- თამაში ბავშვის მიერ ინიცირებული, სახალისო და საინტერესოა.
- მრავალფეროვანი გამოცდილება სწავლისა და განვითარების პირობაა.
- ფიზიკური გარემო ზრდის, სწავლისა და განვითარების საშუალებაა.
- ოჯახებთან პარტნიორობით ბავშვებთან მუშაობა გაცილებით უფრო შედეგიანია.
- ეფექტური პრაქტიკა წინასწარ გამიზნული და მოქნილია.
- ავტონომიური და შემოქმედებითი უფროსის გვერდით ბავშვი თავისუფალი და შემოქმედებითია.

კურიკულუმის ნათლად დეკლარირებული მიზნებია ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა. აღნიშნული მიზნები გულისხმობს ერთი მხრივ, ბავშვების, როგორც ინტერესიან, მკვლევარ ინდივიდებად ჩამოყალიბებას, ხოლო მეორე მხრივ, მათი სოციალურ-ემოციური კომპეტენციების ხელშეწყობასა და ჯგუფის ერთიან გუნდად ჩამოყალიბებას. რატომ ჯგუფის ერთობა? თვითრეგულირების და ორმხრივი რეგულირების უნარს ადრეულ ასაკში ეყრება საფუძველი და ბაღი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ ფასდაუდებელი უნარის განვითარებაში. ჯგუფის ერთობაზე ზრუნვა ისეთი უნარების, ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმატების საწინდარია. თურამდენად კარგი ურთიერთობა აქვთ ბავშვებს თანატოლებთან, შემდგომში მათ შემეცნებით განვითარებაზე, თავდაჯერებულობაზე, ფსიქიკურ სიჯანსაღესა და სწავლაზე აისახება. ჯგუფის ერთობის მიზანი სამ ქვემიზნად არის მოცემული: (1) ბავშვებში პოზიტიური ურთიერთობების, მეგობრობის და გუნდურობის ხელშეწყობა – ვზრუნავთ ერთმანეთზე, ვთამაშობთ ერთად; (2) თვითცნობიერების და სოციალური ცნობიერების განვითარება

– რას ვგრძნობთ, რას ვფიქრობთ, რას ვხედავთ; (3) თვითკონტროლისა და კონფლიქტების მოგვარების უნარის განვითარება – ვიქცევი დაფიქრებით.

კურიკულუმის მეორე მიზანი – კვლევა-აღმოჩენა – შემეცნებითი, განსაკუთრებით კი მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას გულისხმობს. რატომ კვლევა-აღმოჩენა? კურიკულუმის ამოცანა სწორედ მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბებაა. რადგან ბავშვი ბუნებრივად ცნობისმოყვარეა, მისთვის კვლევა ბუნებრივი პროცესია და დაბადებიდან, როგორც ნამდვილი მკვლევარი, სამყაროს დაკვირვებით, მოსინჯვით სწავლობს. ეს ბუნებრივი ინტერესი მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა და მოტივატორია. კურიკულუმი დაეხმარება საგანმანათლებლო პერსონალს, ეს ინტერესი ადრეული ასაკიდანვე გამოიყენონ ისეთი უნარების განსავითარებლად, რომლებიც ბავშვს მოაზროვნე, მკვლევარ ადამიანად ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

კვლევა-აღმოჩენის მიზანი კურიკულუმში სამ ქვემიზნად არის მოცემული: (1) ცნობისმოყვარეობა – მაინტერესებს, რა არის; (2) კვლევა – მინდა გავიგო, რატომ და როგორ; (3) შემოქმედებითობა – ვქმნი და ვიგონებ.

საგანმანათლებლო პროცესის შინაარსი შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, რომ ბავშვები მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობდნენ და სხვადასხვა რესურსის გამოყენების საშუალება ჰქონდეთ. ამ მხრივ, თემატური მიმართულებები – ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება – მრავალფეროვან გამოცდილებას ნამდვილად უზრუნველყოფს. საგანმანათლებლო პროცესზე ფიქრისას, სამივე მიმართულების გათვალისწინებით, აღმზრდელი ამ პროცესს ბავშვისთვის გაცილებით საინტერესოს და მომხიბვლელს ხდის და ამავდროულად, კურიკულუმის მიზნებზეც გადის.

ხელოვნება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა კურიკულუმის მიზნის – კვლევა/აღმოჩენა – მისაღწევად. ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების თამაშებით ბავშვებს სწორედ ცნობისმოყვარეობა, შემოქმედებითობა და კვლევის უნარები უვითარდებათ. ხელოვნების აქტივობების დროს მნიშვნელოვანია, აღმზრდელი ქმნიდეს ისეთ გარემოს, რომ ბავშვი ახალ სახატავ მასალას დააკვირდეს: მაგალითად, ხატვისას დააკვირდეს, როგორ კვალს ტოვებს განსხვავებული ფორმის ფუნჯი ფურცელზე; რა ემართება საღებავს, თუ წყალს გავურევთ; რა მოხდება, რა მოუვა ფურცელს, თუ ფუნჯით დავასველებთ და ა.შ. ხელოვნების აქტივობების დროს მნიშვნელოვანია, ბავშვმა ექსპერიმენტების შედეგად შექმნას ახალი ფერები. მხატვრული ნამუშევრის შექმნისას, მოიფიქროს სხვადასხვა ტექნიკის საკუთარი ინტერპრეტაცია. მასალების გამოყენებისას, აღმზრდელმა უნდა წაახალისოს, მოსინჯოს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზა. მაგალითად მოიფიქროს, რა მასალა შეიძლება გამოიყენოს ქანდაკების მძიმე დეტალის უკეთ დასამაგრებლად.

წიგნიერების გზით შესაძლებელია ბავშვების ცნობისმოყვარეობის, კვლევისა და შემოქმედებითობის უნარების ხელშეწყობა – როდესაც აღმზრდელი ყურადღებას ამახვილებს პერსონაჟების ხასიათზე, ილუსტრაციებზე, წაახალისებს კითხვების დასმას პერსონაჟების შესახებ; წაახალისებს, გამოთქვან ვარაუდები წიგნის სიუჟეტთან დაკავშირებით; როცა აღმზრდელი წაახალისებს ბავშვს, ინფორმაციის შესაგროვებლად, გამოიყენოს წიგნი- როგორც წყარო; როცა ეხმარება მას წიგნის სიუჟეტის, პერსონაჟების ქცევის გაანალიზებაში, მათი მახასიათებლების შედარებაში, სიუჟეტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების გამოთქმაში.

მეცნიერების გზით აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს, დააკვირდნენ ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას, საგნებსა და მოვლენებს. ეხმარება, აღმოაჩინონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, გამოთქვან ვარაუდები და გააკეთონ დასკვნები. მარტივი სიმბოლოებით ჩაინიშნოს დაკვირვება საგნებსა თუ მოვლენებზე; ხელს უწყობს ბავშვებს, ღია კითხვების საშუალებით შექმნან ახალი თეორიები საგნების ან ნივთიერებების თვისებების შესახებ; ექსპერიმენტების დროს მოძებნონ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზები, მაგალითად, გამოიგონონ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო კერძი ნაცნობი ინგრედიენტებისგან და ა.შ.

კურიკულუმის განხორციელების ძირითადი საშუალებებია: მრავალფეროვანი თამაშები, გამოწვევები და აღმზრდელის მიერ გამოყენებული სტრატეგიები, რაც ბავშვების ჩართულობას და პროცესის ინდივიდუალიზებას უნდა უწყოდეს ხელს.

თამაში ამ კურიკულუმის განხორციელების უმთავრესი საშუალებაა. რაც უფრო მრავალფეროვან თამაშებს შესთავაზებს აღმზრდელი ბავშვებს, სხვადასხვა მასალის გამოყენებით, მით უფრო მაღალი იქნება ბავშვების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში და, ამავე დროს, ხელი შეეწყობა მათ ჰოლისტურ განვითარებას.

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, მორგებისა და მისი ეფექტურობის შეფასებისთვის აღმზრდელი მუდმივად უნდა აკვირდებოდეს ბავშვების განვითარების და სწავლის პროცესს. მან უნდა დაინახოს, რა შეუძლიათ ბავშვებს, დააფასოს რას მიაღწიეს და დაფიქრდეს, რა სჭირდებათ. ამისათვის, იგი კარგად უნდა იცნობდეს თითოეულ ბავშვს, მათ შესაძლებლობებს, რომ საგანმანათლებლო პროცესი მოარგოს და მიღწეული შედეგები შეაფასოს.

კურიკულუმის ეფექტურად განხორციელება

კურიკულუმის შემუშავება მხოლოდ დასაწყისია; ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ნამდვილი წარმატება კურიკულუმის განხორციელებაშია. რა არის ის პრაქტიკულ ნაბიჯები და სტრატეგიები, რაც ხელს უწყობს კურიკულუმის ეფექტურად განხორციელებას, და აღმზრდელებს შესაძლებლობას უქმნის მდიდარი და მიმზიდველი სასწავლო გამოცდილება უზრუნველყონ ბავშვებისთვის?

აღმზრდელების მომზადება და ტრენინგი: აღმზრდელებმა საფუძვლიანი მომზადება და ტრენინგი უნდა გაიარონ იმ კურიკულუმის მიხედვით, რომელსაც ისინი ახორციელებენ. ეს მოიცავს კურიკულუმის მიზნების, შინაარსის და ადრეული ასაკის განვითარებისთვის სპეციფიკური სწავლების მეთოდოლოგიის გააზრებას. უზრუნველყოფილი უნდა იყოს რეგულარული პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, რათა ისინი კურიკულუმის ეფექტურად განხორციელებაში დახელოვდნენ.

განვითარებასთან შესაბამისობა: ადრეული განათლების კურიკულუმი ბავშვების განვითარებას უნდა შეესაბამებოდეს. აღმზრდელებმა მუდმივად უნდა შეაფასონ, ესადაგება თუ არა მათი სწავლების მეთოდები და შეთავაზებული აქტივობები ბავშვების განვითარებას.

ინდივიდუალური მიდგომა: ინდივიდუალური მიდგომა გადამწყვეტია. სწავლების მეთოდები სხვადასხვა სწავლის სტილზე, შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე უნდა იყოს მორგებული. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა კურიკულუმის ფარგლებში განვითარდეს. პროგრესის რეგულარული მონიტორინგი და შეფასება კი მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესის და გამოცდილებების ინდივიდუალიზებისთვის.

რესურსების ხელმისაწვდომობა: ადეკვატური საგანმანათლებლო რესურსები, მასალები და კურიკულუმის შესაბამისად მოწყობილი ფიზიკური გარემო აუცილებელია. ეს უნდა იყოს განვითარების და კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისი და კულტურულად სენსიტიური გარემო. მრავალფეროვან და მრავალგვარ რესურსებზე წვდომა, რაშიც არ იგულისხმება მხოლოდ ქარხნული სათამაშოები, მაგრამ აუცილებლად მოიაზრება ღია მასალები და ასაკის შესაბამისი წიგნები, ამდიდრებს სასწავლო გამოცდილებას.

მშობლების ჩართულობა: მშობლებთან თანამშრომლობა კურიკულუმის ეფექტურად განხორციელების განუყოფელი ნაწილია. მშობლების ჩართულობა მხარდაჭერის ძლიერ სისტემას ქმნის, რაც ცალსახად აძლიერებს სასწავლო პროცესს.

მოქნილობა და ადაპტაცია: ბავშვების საჭიროებები და ინტერესები შეიძლება სწრაფად შეიცვალოს და განვითარდეს, აღმზრდელები მზად უნდა იყვნენ, მოარგონ თავიანთი სტრატეგიები და აქტივობები რეალურ დროს და ჯგუფის დინამიკას.

კულტურული სენსიტიურობა და ინკლუზიურობა: სასწავლო მასალა, აქტივობები და შინაარსი ბავშვების მრავალფეროვან წარმომავლობასა და იდენტობას უნდა ასახავდეს.

პროფესიული თემები: აღმზრდელები უნდა ურთიერთთანამშრომლობდნენ, კოლეგებს უზიარებდნენ საუკეთესო პრაქტიკას და ერთობლივად უმკლავდებოდნენ კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

ამ პრაქტიკული ნაბიჯების გათვალისწინებით აღმზრდელებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ ადრეული განათლების კურიკულუმების არა მხოლოდ გააზრებულად დაგეგმვა, არამედ მათი ეფექტიანობის უზრუნველყოფაც. წარმატების საზომი კი ბავშვების ჰოლისტურ განვითარებასა და კეთილდღეობაზე დადებითი გავლენაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხ. დოლიძე, ნ. ჯიჯავაძე, თ. ბაქრაძე, (2020). ადრეული განათლების კურიკულუმი – თამაში. მეთოდურლი სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის. ნაწილი 1
2. კ. მაკლაქლენი, მ.ფლიერი, ს. ედვარსი, (2010). ადრეული ბავშვობის კურიკულუმი. დაგეგმვა, შეფასება და განხორციელება. მეორე გამოცემა, კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამოცემა.
3. S. L. Krogh, P. Morehouse, (2020). The Early Childhood Curriculum. Inquiry Learning Through Integration, 3rd Edition.

მშობლების განათლების მნიშვნელობა

ᲓᲘᲐ ᲯᲣᲠᲪᲘᲯᲘᲫᲔ
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის ტრენერი, ადრეული განათლების სპეციალისტი

მშობლობა ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც დიდ გავლენას ახდენს როგორც ბავშვის, ასევე თავად მშობლის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მშობლობა სიყვარულის, სიხარულის, ბედნიერების განცდასთან ერთად ზოგჯერ საკმაოდ დიდი გამოწვევაცა. ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად მნიშვნელოვანია მშობელი სათანადო მხარდაჭერას იღებდეს, რათა შესაძლებელი გახდეს მშობლისა და ბავშვის ჯანსაღი ფიზიკური და მენტალური კეთილდღეობის შენარჩუნება. პოზიტიური მშობლობის პროგრამების დანერგვისა და მშობელთა მხარდაჭერის აქტუალობაზე საქართველოში არა-ერთი კვლევა მეტყველებს.

საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა მშობლების განათლების დაბალი დონეა. UNICEF-ის კვლევის მიხედვით (2013), მოსახლეობის 45% ბავშვებზე ძალადობას დასაშვებად მიიჩნევს, 60%-ს კი მიაჩნია, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია არაძალადობრივ მეთოდებთან შედარებით. ამავე კვლევამ აჩვენა, რომ განათლების დონე პირდაპირ კავშირშია დამოკიდებულებებთან ფიზიკური ძალადობის, როგორც დასჯის ფორმის მიმართ. რაც უფრო მაღალია განათლების დონე, ფიზიკური ძალადობის აღზრდის ფორმად დასაშვებობის მაჩვენებელი მცირდება.

საქართველოში მშობლების განათლების დაბალი დონე ასევე განსაზღვრავს შვილების სკოლამდელ განათლებაში ჩართულობის დაბალ მაჩვენებლებს. UNICEF-ის კვლევის მიხედვით (2020), საქართველოში საბაზო განათლების მქონე დედების შვილების მხოლოდ 51% მონაწილეობს სკოლამდელ აღზრდაში. საბაზო განათლების მქონე დედების შვილების ბაღში სიარულის ალბათობა 0,50-ჯერ ნაკლებია უმაღლესი განათლების მქონე დედების შვილებთან შედარებით. ანალოგიური კავშირი გამოვლინდა მამების შემთხვევაშიც.

მშობლების განათლების პროგრამები პოზიტიურ გავლენას ახდენს მშობლებისა და ბავშვების განვითარებაზე. Wilder Research-ის მიხედვით (2016), კარგად დაგეგმილი და საჭიროებებზე მორგებული მშობლების საგანმანათლებლო ინიციატივები მთელი რიგი პოზიტიური ცვლილებების კატალიზატორი შეიძლება გახდეს. კერძოდ, მშობლები იუმჯობესებენ თვითაღქმასა და დამოკიდებულებას მშობლობის მიმართ, იწყებენ პოზიტიური მშობლობის პრაქტიკების დანერგვას, ქმნიან ნაყოფიერ კავშირებს სხვა მშობლებთან. ცვლილებები მშობლის აღქმებსა და

ქმედებებში შედეგად აუმჯობესებს ბავშვის ქცევას, მშობელსა და ბავშვს შორის ურთიერთობას, ხელს უწყობს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაგუმჯობესებას და მნიშვნელოვნად ამცირებს ბავშვების ძალადობრივი დასჯისა და დამცირების შემთხვევებს.

ბოლო ათწლეულებში მშობლების განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილებები დაგროვდა საერთაშორისო დონეზე. ბევრ პროგრამას შორის ყველაზე მაღალი შედეგები მტკიცებულებებზე დაფუძნებულმა მშობელთა მხარდამჭერმა პროგრამებმა აჩვენა (Evidence-Based Parenting Support-EBP). საინტერესოა, რომ მშობლების განათლებაში პოლიტიკის ტრანსფერის წარმატებული მაგალითებიც დაგროვდა. მაგალითად, ევროპაში გავრცელებული სამი მასშტაბური პროგრამიდან სამივე თავდაპირველად არაევროპულ ქვეყნებში შემუშავდა. Generation PTMO – აშშ-ში, Triple -P – ავსტრალიაში, PLH – სამხრეთ აფრიკაში.

მშობელთა პროგრამის შემუშავება საქართველოში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონის და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტების დონეზე“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება პოზიტიური მშობლობის მხარდაჭერა იყო. სწორედ ამიტომ, 2022 წელს შეიქმნა პოზიტიური მშობლობის ბროშურა და პოზიტიური მშობლობის პროგრამა.

პოზიტიური მშობლობის პროგრამა განკუთვნილია ორიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებისთვის და მოიცავს 5 ერთმანეთთან დაკავშირებულ თემატიკას ადრეული ასაკის განვითარებისა და განათლების მხარდასაჭერად.

პროგრამის მიზანია ბავშვის განვითარებისა და აღზრდის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელება მშობლებში, მათი აღჭურვა ბავშვთან მჭიდრო და პოზიტიური კომუნიკაციის დამყარებისთვის საჭირო უნარებით.

პროგრამის ამოცანაა მშობლებთან განხორციელებული შეხვედრებითა და სემინარებით შეიქმნას მშობლის გაძლიერებაზე მიმართული გარემო, სადაც პროგრამაში მონაწილე თითოეულ მშობელს შესაძლებლობა ეძლევა გააზიაროს საკუთარი გამოცდილება, გაცვალოს ხედვები და მოსაზრებები ჯგუფის ფასილიტატორთან და სხვა მშობლებთან. ამ გზით, მშობელი უკეთ გაიცნობს საკუთარ თავს, საკუთარ მიდგომებსა და სტრატეგიების ბავშვის აღზრდისა და განვითარების კუთხით და შეძლებს ისწავლოს სხვა ეფექტური და პოზიტიური მიდგომები შვილთან ურთიერთობაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პოზიტიური მშობლობის პროგრამის განმახორციელებლად მოაზრებულია საბავშვო ბაღი, რაც ხელს შეუწყობს ოჯახსა და ბაღს შორის მჭირდრო ურთიერთობებს.

პოზიტიური მშობლობის პროგრამის შექმნა დაეფუძნა ერთი მხრივ, 4 ლოკაციაზე განხორციელებულ მშობელთა ფოკუს-ჯგუფების ანალიზის შედეგებს, ხოლო მეორე მხრივ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. პროგრამის სამუშაო ვერსიის გამოყენებით ავტორებმა განახორციელეს პროგრამის პილოტირება დაახლოებით 210-მდე მშობელთან სამიზნე მუნიციპალიტეტების სკოლამდელი დაწესებულების სივრცეში[1].

პილოტირების პროცესის შედეგად გამოიკვეთა პროგრამის შემდეგი ძლიერი მხარეები:

- პროგრამა მშობლებში იწვევს ინტერესს და ჩართულობის მოტივაციას;
- პროგრამით გათვალისწინებული თემები და საკითხები მშობლებისთვის აქტუალური, მნიშვნელოვანი და ღირებულია;
- სესიების ინტერაქციული ფორმატი უზრუნველყოფს მშობლებთან ვორქშოპის წარმართვისას მათ თანამონაწილეობასა და ჩართულობას;

- პროგრამით გათვალისწინებული თემები და საკითხები მშობლებისთვის მკაფიო და გასაგებია;

მშობლობის პროგრამის მიზანი

პროგრამა განკუთვნილია ორიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებისთვის და მისი მიზანია ბავშვის განვითარებისა და აღზრდის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელება მშობლებში, მათი აღჭურვა ბავშვთან მჭიდრო და პოზიტიური კომუნიკაციის დამყარებისთვის საჭირო უნარებით.

პროგრამა დაფუძნებულია მიდგომაზე, რომელიც ხაზს უსვამს მშობელსა და ფასილიტატორს შორის თანამშრომლობასა და უერთიერთმხარდაჭერას. ფასილიტატორი შეიძლება იყოს საბავშვო ბაღის ფსიქოლოგი, აღმზრდელი, სპეციალური მასწავლებელი ან მეთოდისტი. მშობელი არ არის მხოლოდ მსმენელი, პასიური მონაწილე, არამედ ის განიხილება პროგრამის ისეთივე მნიშვნელოვან და ღირებულ წევრად როგორც მისი განმახორციელებელი. მშობელი და ფასილიტატორი აღმზრდელი ან სპეციალისტი ერთ პოზიციაზე მდგომნი, თანასწორნი არიან.

პროგრამა ხორციელდება მშობლებთან ჯგუფური მუშაობის პრინციპით, შესაბამისად, პროგრამის სარგებელი არის არა მხოლოდ ცალკეული მშობლის ინფორმირებულობის გაზრდა, არამედ მშობელთა ჯგუფის შეკავშირება, მათი სოციალიზაცია და ერთმანეთის ემოციური მხარდაჭერა.

მშობლობის პროგრამის სწორად განხორციელებისთვის ორი მთავარი პრინციპის გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი:

1. ძირითადი აქცენტი უნდა კეთდებოდეს მშობლების ძლიერ მხარეებზე
2. პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს მშობლის გაძლიერებაზე მისი ღირებულებებისა და ინდივიდუალობის გათვალისწინებით

პროგრამის განხორციელებისას აღმზრდელი კარგად უნდა დაფიქრდეს საკუთარ წინასწარგანწყობებსა და ხედვებზე მშობლების მიმართ და მის როლზე. ფასილიტატორი აღმზრდელი არ უნდა იყოს „მასწავლებელი“, რომელიც ორიენტირებულია მშობლების „აღზრდაზე“, არამედ მას უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ თითოეული ოჯახის მშობლობის გამოცდილება ღირებულია და მისი ამოცანა თითოეული მშობლის გაძლიერება და მხარდაჭერაა (Flett, 2007).

რა არის პოზიტიური მშობლობა

პოზიტიური მშობლობა გულისხმობს პატივისცემის, სიყვარულის, სითბოს გამოხატვას შვილის მიმართ, დახმარების და მხარდაჭერის აღმოჩენას, მასზე ზრუნვას, აღზრდასა და სწავლებას ჰუმანური გზებით. პოზიტიური მშობლობლობა ისეთი მიდგომაა, რომელიც უარს ამბობს ბავშვის აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენებაზე და გამორიცხავს დასჯას, მუქარას, შეშინებას, დაყვირებას, ზეწოლას, შერცხვენას, კრიტიკას და შეურაცყოფას.

პოზიტიური მშობლობა ხელს უწყობს ბავშვის წარმატებულობას. კვლევები აჩვენებს, რომ პოზიტიური მშობლობა ეხმარება ბავშვს უკეთ ისწავლოს სკოლაში და ჰქონდეს უფრო მყარი ფსიქიკური ჯანმრთელობა.

პოზიტიური მშობლობა ხელს უწყობს თავის ტვინის განვითარებას. ნეირომეცნიერებამ აღმოაჩინა, რომ პოზიტიური მშობლობის შედეგად ბავშვებში (განსაკუთრებით კი მოზარდებში) თავის ტვინის ის უბნები უკეთესად ფუნქციონირებს, რომელიც ემოციებთან და აზროვნებასთანაა დაკავშირებული.

პოზიტიური მშობლობა დაკავშირებულია ბავშვის ჯანსაღ და ლაღ ცხოვრებასთან ზრდასრულობაში. მეცნიერებმა აღმოაჩინეს პოზიტიური მშობლობის გრძელვადიანი დადებითი შედეგები. გაირკვა, რომ ბავშვებს, რომლებსაც ჰუმანურად, პატივისცემით

ზრდიან, ზრდასრულ ასაკში აქვთ კარგი ჯანმრთელობა და ჯანსაღი ურთიერთობები.

პოზიტიური მშობლობა ხუთ მთავარ პრინციპს აერთიანებს, რომელიც საფუძველს უყრის მშობელსა და შვილს შორის ახლო, მჭიდრო ემოციური კავშირს. ეს პრინციპებია:

1. მიჯაჭვულობა
2. პატივისცემა
3. პროაქტიულობა
4. ემპათიურობა
5. პოზიტიური დისციპლინა

"პოზიტიური მშობელი ამჩნევს ბავშვის ხილულ თუ უხილავ სურვილებს, საჭიროებებს, სწორად და დროულად რეაგირებს მათზე, მშობლის ქცევა ბავშვის ინტერესებითაა განპირობებული. პოზიტიური მშობელი აღიარებს და იცავს ბავშვის უფლებებს, არის თბილი და მოსიყვარულე შვილთან და ამავდროულად უქმნის მკაფიო ჩარჩოებს განვითარების ხელშეწყობისთვის".

რა თემებისგან შედგება პოზიტიური მშობლობის პროგრამა?

მშობლობის პროგრამა მოიცავს 5 ერთმანეთთან დაკავშირებულ მიმართულებას ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარებისა და განათლების მხარდასაჭერად. სკოლამდელ დაწესებულებაში პროგრამის ამოქმედების შედეგად მშობლებს ჩაუტარდებათ 7 ჯგუფური სესია, რომელიც აგებულია ინტერაქციულ მეთოდებსა და პრაქტიკულ სავარჯიშოებზე. პროგრამის თემებია:

1. თამაში
2. პოზიტიური კომუნიკაციის მნიშვნელობა
3. პოზიტიური დისციპლინა
4. წიგნიერება ადრეულ ასაკში
5. ბავშვები, მშობლები და ბაღი – როგორ გახადოთ ბაგა-ბაღი ინკლუზიური

ამ სტატიაში შემოგთავაზებთ პოზიტიური მშობლობის პროგრამიდან პირველ თემას „თამაშს“ და განვიხილავთ თამაშის მახასიათებლებსა და მნიშვნელობას.

ნაწყვეტი პოზიტიური მშობლობის პროგრამიდან თამაშის შესახებ

ჩვენ ყველამ ინტუიციურად ვიცით რა არის თამაში, ვხედავთ მას სათამაშო მოედანზე, ეზოში, სახლში, პარკში. თუმცა, მეცნიერები ჯერ კიდევ მსჯელობენ თამაშის ზუსტი განმარტების შესახებ. „ყველაფერი,



რასაც ბავშვი სპონტანურად საკუთარი თავისთვის აკეთებს-თამაშია“, „თამაშს მიზანი არ აქვს, ის სიხარულის და სიამოვნების წყაროა, რასაც ბავშვი განთვითარების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადაჰყავს“, „ის აქტივობა, რომელსაც ბავშვი თავად ირჩევს და წარმართავს-თამაშია“. განმარტებები უსასრულოდ გრძელდება. იმისათვის, რომ ზუსტად ვიცოდეთ რა არის ნამდვილი თამაში, რამდენიმე დეტალს უნდა დავაკვირდეთ:

თამაში სასიამოვნოა. თუ რაიმე აქტივობას ბავშვისთვის დადებითი ემოციები და სიამოვნება არ მოაქვს, ეს არ არის თამაში.

თამაში ბავშვის სურვილია. ბავშვი თამაშობს იმიტომ, რომ მას ეს უნდა და არა იმიტომ, რომ რამე მიიღოს შედეგად.

თამაში მნიშვნელოვანი პროცესია. თამაშში არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორ დასრულდება ის.

თამაში თავისუფალი არჩევანია. თამაში სპონტანურია და ამ დროს ბავშვი არ განიცდის უფროსების მხრიდან არანაირ ზეწოლას.

თამაში მოქნილია. თამაში ბავშვის წარმოდგენას და ფანტაზიას ეფუძნება, სადაც ყველაფერი შესაძლებელია.

თამაში ბავშვის განვითარების აუცილებელი კომპონენტია იმდენად, რამდენადაც ხელს უწყობს შემეცნებითი, ფიზიკური, სოციალური, კომუნიკაციური და ემოციური უნარების გამომუშავებას. გარდა ამისა, თამაში მშობლებისა და მათი შვილების ურთიერთობის იდეალური შესაძლებლობაა. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ბავშვებისათვის გამოყოფილი თავისუფალი თამაშის დრო მკვეთრად შემცირებულია, ვიდრე წინა თაობებში და მრავალ მიზეზთაგან ყველასათვის ნაცნობი შეიძლება იყოს ცხოვრების აჩქარებული ტემპი, ციფრული მოწყობილობებსა და გაჯეტებზე მიჯაჭვულობა, ცვლილებები ოჯახის სტრუქტურაში და აკადემიურ წარმატებაზე გამძაფრებული ყურადღება.

და მაინც, რა კონკრეტული დადებითი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს თამაში ბავშვის ცხოვრებაზე? თამაშის მნიშვნელოვნებაში დასარწმუნებლად საკმარისია ვთქვათ, რომ თამაშით ბავშვი თავისი პოტენციალისა და შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენს, თამაშს თან ახლავს სიხარულის სასიამოვნო შეგრძნებები, რაც ჯანსაღი თვით-შეფასებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის საწინდარია.

შეჯამება

პოზიტიური მშობლობა ძალზედ აქტუალური თემაა 21-ე საუკუნეში. იცვლება ადამიანთა ცხოვრების სტილი, ღირებულებები, დამოკიდებულებები და შესაბამისად იცვლება ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული მიდგომებიც. ის, რაც გამართლებული და

თამაშის სასარგებლო ეფექტები ემოციებსა და ქცევაზე:

- თამაში ამცირებს შიშს, შფოთვას, სტრესს
- თამაშს ახლავს მხიარულებისადა საკუთარი თავით კმაყოფილების განცდა
- თამაში აუმჯობესებს მოქნილობას და სიახლეებისადმი ღიაობას
- თამაში ასწავლის ბავშვს ცვლილებებთან და მოულოდნელობებთან გამკლავებას
- თამაშის პროცესში ვითარდება მედეგობა (უნარი, რომლის გამოყენებით ბავშვს/ადამიანს შეუძლია გაუმკლავდეს და მოერგოს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებსა და გამოწვევებს).
- ხშირად თამაში კურნავს ემოციურ ჭრილობებს.

თამაშის სასარგებლო ეფექტები სოციალურ, შემეცნებითი, ზეპირეტყველებით და კომუნიკაციურ უნარებზე

- თამაშით ბავშვი ივითარებს ემპათიის, სხვისი დახმარებისა და გაზიარების უნარებს
- თამაში ასწავლის არჩევანის გაკეთებას
- თამაში აუმჯობესებს არავერბალურ უნარებს (თვალით კონტაქტი, სახის გამომეტყველება, ემოციების გამოხატვა)
- თამაში აუმჯობესებს მეტყველების უნარებს
- თამაში ხელს უწყობს ფანტაზიის და შემოქმედობითობის განვითარებას
- თამაში ამყარებს და აძლიერებს მიჯაჭვულობას
- თამაში ხელს უწყობს ჯერის, რიგის დაცვის, მოთმინების უნარის გამომუშავებას

თამაშის სასარგებლო ეფექტები ფიზიკურ განვითარებაზე

- დადებითი ემოციები, რაც თამაშს ახლავს თან, უზრუნველყოფს იმუნური, ენდოკრინული და გულ-სისხლძარღვთა სისტემების ეფექტურ ფუნქციონირებას
- თამაში ამცირებს სტრესს, ემოციურ გამოფიტვას და დეპრესიულ განწყობას
- თამაშით იხვეწება და ვითარდება მოძრაობის, კოორდინაციის, ბალანსის უნარები
- თამაშის დროს მიმდინარეობს ბავშვის მსხვილი მოტორული უნარების განვითარება, როგორიცაა სირბილი, ხტუნვა, ცოცვა
- თამაშით ვითარდება ნატიფი მოტორული უნარები: ხატვა, ძერწვა, ჭრა, თითებით სხვადასხვა მოძრაობების შესრულება

მისაღები იყო წინა თაობებში, დღეისათვის ნაკლებად გამოყენებადი და აქტუალურია. შესაბამისად, პოზიტიური მშობლობის პრაქტიკების დანერგვა და გავრცელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ოჯახების გაძლიერებისა და ბავშვებისთვის მხარდამჭერი, მზრუნველი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნისთვის. გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული პოზიტიური მშობლობის პროგრამა სწორედ ამ მიზანზე ორიენტირებული ინიციატივაა, რომელიც ხელს შეუწყობს პოზიტიური მშობლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. გარდა ამისა, რადგან პროგრამის განმხორციელებელი აქტორი სკოლამდელი დაწესებულებაა, პროგრამის დამატებითი სარგებელი დაკავშირებულია საბავშვო ბაღსა და მშობელს შორის მჭიდრო, თანამშრომლობითი და მხარდაჭერაზე ორიენტირებული ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან.

[1] პილოტირება ჩატარდა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ხულო, ბათუმი, ქობულეთი, წინანდალი, მარნეული, თბილისის საჯარო ბაღი, თბილისის კერძო ბაღი, გარდაბანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ცინცაძე, ლ. ქურციკიძე, პოზიტიური მშობლობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2022
2. პოზიტიური მშობლობა, UNICEF, 2021
3. ნ. ცინცაძე, ლ. ქურციკიძე, მშობლობის პროგრამა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2022
4. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, UNICEF, 2013
5. მიქსი საქართველო, მონაცემების წარმოება ბავშვთა კეთილდღეობისთვის, UNICEF, 2020
6. The benefits of Parenting Education, A review of the Literature for the Wilder Parent Education Centre, Wilder Researcher, 2016

ვალდორფის პედაგოგიკა

მარიკა ჩხიკვაძე
ვალფორფის ბაღის
აღმზრდელ-პედაგოგი

ვალდორფის პედაგოგიკას ასწლიანი ისტორია აქვს. 1919 წელს გერმანიაში, ქალაქ შტუტგარტში, რუდოლფ შტაინერისა და სიგარეტის ფაბრიკის „ვალდორფ ასტორიას“ მფლობელის, ემილ მოლტის ინიციატივით, ფაბრიკის თანამშრომლების ბავშვებისთვის დაარსდა პირველი ვალდორფის სკოლა. მოგვიანებით, 1926 წელს სკოლასთან არსებული პირველი ვალდორფის ბაღი გაიხსნა.

ვალდორფის სკოლის გახსნას წინ უსწრებდა რუდოლფ შტაინერის მიერ წაკითხული პედაგოგიკური კურსი მომავალი მასწავლებლებისთვის. სასწავლო პროგრამა საზოგადოების ყველა ფენისთვის იყო განკუთვნილი, განურჩევლად მათი სოციალური, კულტურული თუ რელიგიური წარმომავლობისა და ყველა მათგანის ინტერესს ითვალისწინებდა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ვალდორფის პედაგოგიკა მთელ მსოფლიოში გავრცელდა და ვალდორფის სკოლებისა და საბავშვო ბაღების ნახვა დღეს ყველა კონტინენტზეა შესაძლებელი. ახალი თავისუფალი ვალდორფის ბაღებისა და სკოლების დაფუძნება, უმეტესწილად, მშობლების ინიციატივითა და მათი აქტიური ხელშეწყობით ხდება. ვალდორფის სკოლისა და ბაღის დაარსების იდეა 80-იან წლებში საბჭოთა საქართველოშიც გაჩნდა – შეიკრიბა რამდენიმე თანამოაზრე კერძო სახლის ერთ პატარა ოთახში და ვალდორფის ბაღმა არსებობა დაიწყო. 1994 წელს დაარსდა პირველი ვალდორფის სკოლა თბილისში და ვალდორფის ბაღიც სკოლას შეუერთდა. დღეს საქართველოში არსებობს რამოდენიმე ვალდორფის პედაგოგიკით მომუშავე სკოლა და ბაღი; იმ მშობელთა რიცხვი, ვისაც სურს თავიანთი შვილები ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპით აღზარდონ, დღითიდღე იზრდება.

ვალდორფის პედაგოგიკის საფუძველს წარმოადგენს ავსტრალიელი ფილოსოფოსის, ბუნებისმეტყველის და პედაგოგის, რუდოლფ შტაინერის ანთროპოსოფია (ბერძ. ანთროპო – ადამიანი, სოფია სიბრძნე). ანთროპოსოფია არის სწავლება ბუნების, სულისა და ადამიანის შესახებ და აღზრდას განიხილავს როგორც ხელოვნებას. ვალდორფის პედაგოგიკის მთავარი მიზანია, ადამიანი აღზარდოს თავისუფალ, მოაზროვნე და სოციალური პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნებად; იმისთვის, რომ ეს მიზანი რეალობად იქცეს, საჭიროა ადამიანის განვითარების ფაზების სიღრმისეული ცოდნა. ანტროპოსოფია ადამიანის განვითარებას შვიდწლიან პერიოდებად ყოფს.

თითეული შვიდწლიანი პერიოდი გარკვეულ ასაკობრივ კანონზომიერებას ეყრდნობა. ყოველი

მათგანი ძალიან მნიშვნელოვანი და სრულიად განსაკუთრებულია.

პირველ შვიდწლედში ხდება ყველა ძირითადი ადამიანური უნარის—ზეაღმართული სიარულის, მეტყველებისა და აზროვნების დაუფლება; ამ პერიოდში ყალიბდება ბავშვის ფიზიკური სხეული და შინაგანი ორგანოები. იმას, რაც მოზრდილი ადამიანისთვის თავისთავად ცხადია, ბავშვი ბევრი მონდომების, ვარჯიშისა და მრავალი გაბედული ცდის შემდეგ აღწევს; მთავარია, მივცეთ დრო საკუთარი გამოცდილების დაგროვებისთვის და მოთმინებით დაველოდოთ შედეგს. ამასთან ერთად, ამ პერიოდში ყალიბდება საკუთარი თავის განცდა სამყაროსთან მიმართებაში, საფუძველი ეყრება ადამიანის სოციალურობას. ამ ასაკში მიღებული ჩვევები მთელი ცხოვრება გაჰყვება ადამიანს.

ვალდორფის პედაგოგიკა ზრუნავს მთლიანად ადამიანის ჰარმონიულ (და არამხოლოდ ცალმხრივ, ინტელექტუალური კუთხით) განვითარებაზე. უფროსების მოვალეობაა, შექმნან აღზრდისთვის შესაბამისი გარემო, რათა ბავშვმა თვითაღზრდა შეძლოს. ეს ნიშნავს, ერთი მხრივ, ხელი არ შეუშალო ბავშვის ბუნებრივ, თავისუფალ განვითარებას, მეორე მხრივ კი, ის არ უნდა დატოვო მარტო და დიდი სიფრთხილით დაეხმარო საკუთარი ინდივიდუალური გზის პოვნაში.

ვალდორფის პედაგოგიკის კონცეფციის ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომლითაც სრულად გამოიხატება ბავშვის დამოკიდებულება გარემოსთან ადრეულ ასაკში, არის **„მიბაძვა და მაგალითი“** და **„რიტმი და გამეორება“**.

სიცოცხლის საწყის ეტაპზე სწავლა მიბაძვით ხდება; სწავლის ინტენსიურობა კი ბავშვის ხასიათზე, ტიპზე და ტემპერამენტზეა დამოკიდებული. ბავშვი უსაზღვრო ნდობით ეგებება სამყაროს და განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე ახდენს ყველაფრის ასიმილირებას, ბაძავს ყველაფერს, რაც მის გაშემო ხდება. მიბაძვის სურვილზე დამყარებული სწავლება გულისხმობს სწავლას მაგალითით; ის მიბაძვით იძენს ყველა სასარგებლო თუ უარყოფით ჩვევას, რასაც ადამიანურ ურთიერთობებში ხვდება, რაც ქვეცნობიერის ღრმა ფენებში ილექება. სიცოცხლის პირველ წლებში საარსებო გარემო დიდ ზეგავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე, როგორი იქნება იგი შემდგომში — სიკეთით აღსავსე თუ სიხარულს მოკლებული. მორალური ცნებები და კეთილგონიერი სიტყვები არ მოქმედებს ბავშვზე, მოქმედებს მხოლოდ ის, რასაც უფროსები მის თვალწინ აკეთებენ; ადამიანებთან ურთერთობებით სწავლობს ბავშვი მოწიწებისა და მადლიერების განცდას, სწავლობს იყოს ყურადღებიანი, მზრუნველი, სწავლობს ცხოველებთან და მცენარებთან ურთიერთობას. ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, გვერდით მუდამ მოფუსფუსე, ქმედითი ადამიანი ჰყავდეს, რომ მასაც გაუჩნდეს საქმის კეთების სურვილი.

ვალდორფის საბავშვო ბაღში გარემო სპეციალურადაა მოწყობილი ისე, რომ ბავშვებმა შეძლონ და მუდმივად ადევნონ თვალი უფროსების საქმიანობას, მიბაძონ მათ. ამ მიბაძვით ისინი სწავლობენ პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ ქმედებებზე. ჩვენი ამოცანაა, ისე ვიმოქმედოთ ბავშვის გარემოცვაში, რომ იგი გონებითა და გრძნობებით სიკეთის, სიბრძნის, ჭეშმარიტების და მშვენიერების მიმბაძველ არსებად იქცეს.

ბავშვს, სიყვარულითა და სითბოთი უნდა შევუქმნათ სიმტკიცის, რწმენისა და უსაფრთხოების განცდა; უნდა ვაგრძნობინოთ, რომ მისი ამქვეყნად მოსვლა გვიხარია და გავუღვიძოთ გრძნობა იმისა, რომ სამყარო კეთილია.

დაცულობისა და უსაფრთხოების განცდას ბავშვს ყველაზე მეტად უქმნის რიტმულად მოწესრიგებული დღე. ყოველი ცოცხალი პროცესი **რიტმის** მეშვეობით წესრიგდება, სასიცოცხლო პროცესები რიტმული თანმიმდევრობით მიედინება და ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელოვნი კომპონენტია. ბავშვს სჭირდება ყოველდღიური რიტმის დაცვა; ჭამის, ძილისა

და თამაშის რეგულარული მონაცვლეობით, ბავშვი შინაგან სიმტკიცეს გამოიმუშავებს. როდესაც ბავშვის ყოველდღიური ცხოვრება კარგად არის ორგანიზებული, მას მყარი ჯანმრთელობა აქვს, არის ხალისიანი და მოწესრიგებული. მაგრამ თუ პირიქით არის და ბავშვის ცხოვრებაში ყველაფერი ქაოტურად ხდება, თვითონაც მოუწესრიგებელია და შფოთავს, ხშირად ღიზიანდება და, ერთი შეხედვით, უმიზეზოდ ტირის. დარღვეული აქვს მადა, ძილი და ჯანსაღი განვითარება ფერხდება. ბავშვს ეუფლება განცდა, რომელსაც მოზრდილები სტრესისა და დეპრესიის დროს გრძნობენ. რიტმის მეშვეობით, ბავშვი მოიპოვებს ერთ ძალიან მნიშვნელოვან თვისებას – ნდობას სამყაროს მიმართ.

ვალდორფის საბავშვო ბაღის ცხოვრება ინტროვენტულ და ექსტროვენტულ რიტმებზეა აგებული, ჩასუნთქვა—ამოსუნთქვა შეკუმშვა—გაშლის ანალოგიური რიტმია, ერთმანეთს ენაცვლება თავისუფალი თამაში და დილის წრე (თითების თამაში, მისალმება), საერთო საუზმე და მეორე თავისუფალი თამაში ეზოში, შემდეგ მაგიდის თოჯინების სპექტაკლი ან ზღაპარი. ასე ხდება დღიდან დღემდე, კვირიდან კვირამდე მცირედი ცვლილებებით; კვირის დღეების ყოველდღიური რუტინა იცავს ბავშვს ზედმეტი სიურპრიზებისგან და უქმნის უსაფრთხოებისა და ნდობის განცდას; რიტმი არის დაძაბულობის მოხსნის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, ზოგავს ძალებს. რიტმი უყალიბებს ადამიანს ხასიათს, რიტმის საშუალებით სწავლობ დროის სწორად განაწილებას, მუშაობისა და დასვენების სწორად რეგულირებას; ყოველი ზუსტად გაცნობიერებული გამეორება აძლიერებს ნებას და მატებს თავდაჯერებულობას.

ვალდორფის საბავშვო ბაღი ბავშვებს სთავაზობს ისეთ გარემოს, სადაც თითოეულ დღეს, კვირას, თვეს და წელიწადს თავისი სტრუქტურა და რიტმი აქვს. ბავშვი ეჩვევა რიტმს, როგორც გარემოს შემადგენელ ნაწილს, იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ არსებობს წესები და ცხადი, მკაფიო მოვალეობები, რომელიც როგორც ცალკეულ ბავშვს, ისე მთელ ჯგუფს ეკუთვნის. დღის რიტმი აძლიერებს ბავშვს შინაგანად, იცავს მის ინდივიდუალურ, პიროვნულ თვისებებს და მეტად თავდაჯერებულს ხდის. კვირის შვიდდღიანი რიტმი გავლენას ახდენს ბავშვის გრძნობად ცხოვრებაზე და სოციალურ-შემოქმედებით აქტივობაზე. მაგ.: ყოველ ორშაბათს გვაქვს აკვარელის საღებავებით ხატვა, სამშაბათს—ევრითმია, ოთხშაბათს ვაცხობთ ორცხობილებს, ხუთშაბათს ვძერწავთ ცვილით და პარასკევს მივდივართ სასეირნოდ ტყეში. თვის რიტმი გვეხმარება ახალი ჩვევების გამომუშავებაში, წლის რიტმს კი დღესასწაულების სახით ვამკვიდრებთ ბაღში.

დღესასწაულების აღნიშვნას ბავშვებისთვის განსაკუთრებული პედაგოგიკური მნიშვნელობა აქვს. დღესასწაულების მეშვეობით, ადამიანები უკეთ განიცდიდნენ წელიწადის რიტმს და ახლო ურთიერთობას ამყარებდნენ გარე სამყაროსთან. თითქმის ყველა დღესასწაული რომელიმე წმინდანის სახელთან არის დაკავშირებული და მორალური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. დღესასწაულები სურათხატობრივი ენით უნდა მივიტანოთ ბავშვებამდე. სიმამაცე, სიკეთე, ერთგულება, მადლიერება, სიყვარული, თანადგომა—ეს თვისებები უნდა გააღვივოს დღესასწაულმა ბავშვში. პატარებისთვის მნიშვნელოვანია იმისი განცდა, რომ სამყარო კეთილია და კეთილი ძალები მართავენ მას. სიკეთის განცდა ბავშვის ფსიქოსომატური ჯანმრთელობის მთავარი გარანტია. დღესასწაული არის ერთი განსაკუთრებული დღე, რომელიც განსხვავდება ჩვეულებრივი დღეებისგან; ამ ერთი განსაკუთრებული დღისთვის წინასწარ, რამდენიმე კვირით ადრე ვიწყებთ მზადებას. ბავშვებს განსაკუთრებულად უყვართ, როდესაც თავად იღებენ ზეიმის მომზადებაში მონაწილეობას. ამ დღის მოლოდინით გამოწვეული სიხარული ბევრად უფრო მეტია, ვიდრე თავად დღესასწაულის დღეს განცდილი სიამოვნება. ყველა ზეიმს, რომელიც წელიწადის წლიურ ციკლთან არის კავშირში, თავისი ხასიათი და განწყობა აქვს. ბავშვი მთელი თავისი გრძნობის

ორგანოებით არის გახსნილი ახალი შთაბეჭდილების მისაღებად და ამიტომაც არის, რომ დღესასწაულებთან განსაკუთრებულ მიმართებას ამყარებს. ყველა დღესასწაულს თავისი გემო, ფერი და სურნელი გააჩნია. მნიშვნელოვანია, ამ დღეს განსაკუთრებულად მოირთოს ოთახები, გაიშალოს სადღესასწაულო სუფრა. საბავშვო ბაღის აღმზრდელთა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოიძიონ მსგავსი კავშირები და ჩართონ საბავშვო ბაღის ზეიმების წლის რიტმში.

ვალდორფის საბავშვო ბაღის თითოეულ ჯგუფში ყოველთვის არის გამოყოფილი ერთი ადგილი „წელიწადის დროის მაგიდისთვის". აქ აღმზრდელი ცდილობს, შემოქმედებითად, ამ დროისთვის დამახასიათებელი ფერთა გამა და ხასიათი, ფერადი ნაჭრების, სხვადასხვა ნივთის და ბუნებაში მოგროვილი ბუნებრივი მასალის გამოყენებით გადმოსცეს და შექმნას განწყობა, რომელიც ამ დროსთან გვაკავშირებს.

ბაღში დაბადების დღის აღნიშვნა იუბილარი ბავშვისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამ დღეს ის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. მეგობრები გადასცემენ კეთილ სურვილებს, საუზმეც განსაკუთრებული გვაქვს, ნამცხვრით და ხილით.

პირველ შვიდწლედში ბავშვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია არის თამაში. თამაში იწვევს სიხარულის ემოციას, რაც აუცილებელია ადამიანის ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის. ბავშვის თამაში არის ხელოვნება. ის საკუთარ წარმოსახვას არგებს რეალობას და თავად ქმნის ზღაპრულ გარემოს; ამიტომ, ბავშვის ფანტაზიაში შესაძლებელია ყველაფერი, რასაც თავად მოინდომებს და უფროსიც სერიოზულად უნდა მოეკიდოს მის სურვილს. თამაში უბრალოდ გართობა არ არის; მისი მეშვეობით, ბავშვი სამყაროს გაგებას, მის შემეცნებას სწავლობს. ყველაფერს, რასაც გარემოში ხედავს, თამაშში გადაამუშავებს, თამაშში გამოცდის თუ რას ნიშნავს იყო „დიდი", დედა და მამა, ექიმი, მასწავლებელი... ისეთივე სერიოზულობით ეკიდება თამაშს, როგორც უფროსები თავიანთ სამუშაოს. რუდოლფ შტაინერი ამბობს: „მოზრდილებისთვის თამაში არის გართობა, სიამოვნება, რომელიც სიცოცხლის ხალისს მატებს. ბავშვისთვის კი თამაში არის მისი ცხოვრების არსი".

თამაში ბავშვის ფანტაზიის, მეტყველებისა და აზროვნების განვითარების ძირითადი საშუალებაა. მეგობრებთან ურთიერთობისას სწავლობს თუ როგორ უნდა გამოთქვას საკუთარი აზრი, განივითაროს მეტყველების უნარი, გამოხატოს გრძნობები. თავისუფალი თამაშის დროს ბავშვი ივითარებს ინდივიდუალურობას და ასევე, სწავლობს სოციუმთან ურთიერთობას, ემპათიას, კრეატიულობას.

ვალდორფის საბავშვო ბაღში თავისუფალი თამაშისთვის გამოყოფილია გარკვეული დრო და სივრცე; ფანტაზიის გასაღვივებლად შესაბამისი სათამაშო მასალაც აქვთ: მაგიდები და სკამები, მოძრავი ხარიხები, ხის აგურები, დაფები, ხის ყუთები, ფერადი ქსოვილები, გირჩები, ხის კუნძები და ა.შ.. ამგვარ თამაშში ბავშვები დიდი მონდომებით, ენთუზიაზმითა და შემოქმედებითი სიხარულით ერთვებიან. ნებისმიერ ბავშვს შეუძლია, საკუთარი ინიციატივით წამოიწყოს თავისუფალი თამაში; მაგრამ იმისთვის, რომ თამაში მოსაწყენი არ იყოს, მას სჭირდება მეგობარი. მეგობრები ერთად გეგმავენ თამაშს, ერთად ადგენენ წესებს, ანაწილებენ როლებს – ამ დროს სწავლობენ საკუთარი აზრის გამოთქმას და ასევე, სხვების მოსმენას, ზოგჯერ კომპრომისზე წასვლაც უწევთ; გუნდურობა რომ მნიშვნელოვანია, ამასაც მალე შეამჩნევენ; სწავლობენ შემწყნარებლობას და საკუთარი გაღიზიანებისა და ემოციების მართვის უნარს. აღმზრდელი პატივს სცემს ბავშვის დამოუკიდებლობას და ხელს უწყობს მისი შემოქმედებითი უნარების განვითარებას, არ ერევა ბავშვის ინიციატივით დაწყებული თავისუფალი თამაშის დაგეგმვაში, არ სთავაზობს საკუთარ იდეებს, მაგრამ, თუ რომელიმე ბავშვი თავად ვერ პოულობს მეგობრების მიერ დაწყებულ თამაშში ჩასართავ გზას, დიდი სიფრთხილით ეხმარება მას. სასურველია, ბავშვმა

თავად შეძლოს პრობლემებთან გამკლავება და კონფლიქტური სიტუაციების იუმორის დახმარებით განმუხტვა. თუ ბავშვი თამაშს და სათამაშოს გულისყურით ეკიდება, ის ასეთივე ყურადღებიანი იქნება მოზრდილობის ასაკშიც; თუ – ქაოტურია, ქაოტური იქნება საქმისადმი მისი დამოკიდებულებაც. ამიტომ მნიშვნელოვანია, დავეხმაროთ ბავშვს სწორად თამაშის სწავლაში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სათამაშო სივრცე მხოლოდ ოთახის კედლებში არ იყოს მოქცეული და ბავშვებს ეზოში, ბაღში, ტყეში თამაშის საშუალებაც ჰქონდეთ. თამაშისთვის განკუთვნილი სხვადასხვაგვარი სივრცეები ამრავალფეროვნებს ბავშვის თამაშს და სათამაშო სიტუაციებს – იგი ხან თოჯინებითა და მანქანებით ერთობა, ხან სხვადასხვა როლს ირგებს, ხანაც თავისუფლად თამაშობს. დიდი მნიშვნელობა აქვს ეგრეთ წოდებულ მოძრავ თამაშებს, როგორიცაა: დამალობანა, დახუჭობანა, რომლებიც გარდა იმისა, რომ ბავშვს ახალისებს, მის სხეულს სისხარტესა და მოქნილობას სძენს. ბავშვები ნებისმიერ ამინდში: ყინვასა და ქარში, წვიმასა და თოვლში გადიან გარეთ, მაგრამ ეზო მხოლოდ გასართობი ან სათამაშო ადგილი არ არის; ბავშვი ყოველდღიურად აკვირდება ეზოში მოფუსფუსე უფროსებს და თავადაც ერთვება ეზოს დალაგებაში, ყვავილების მოვლაში. ეზოში არის უამრავი ხის მორი, ქვები, ქვიშის ყუთი, დგას პაწაწინა სახლები, მოკლე კუნძებზე გადებული ხის დიდი მორი... პატარები თავიდან უფროსების დახმარებით ცდილობენ მორზე გასვლა-გამოსვლას, მერე კი დამოუკიდებლად შეუძლიათ გაირბინონ კიდეც; ამით მოძრაობის, წონასწორობისა და კონცენტრაციის უნარის დაუფლებას ცდილობენ. ეზოში ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ბავშვმა საკუთარი სხეულის უკეთ ფლობა შეძლოს, მრავალმხრივ განივითარის გრძნობის ორგანოები და უხეში მოტორული უნარები, რაც საშუალებას მისცემს საკუთარ შესაძლებლობებში უფრო თავდაჯერებული, მამაცი, გაბედული და უშიშარი გახდეს.

ბავშვებისთვის არსებითია ბუნებასთან კავშირი. აღტაცება, სიამოვნება, მზრუნველობა – ეს ის თვისებებია, რომელსაც ბავშვი სამყაროსთან ურთიერთობით სწავლობს. პატარა ინტერესით ეგებება გარე სამყაროს და ამ დროს მიშვნელოვანია, გვერდით ჰყავდეს უფროსი, რომელიც მასთან ერთად აღმოაჩენს ბუნებაში მომხდარ საოცარ მოვლენებს და მასთან ერთად გაიზიარებს ახალი აღმოჩენით გამოწვეულ გულწრფელ აღფრთოვანებას; ბავშვთან ერთად არა მხოლოდ შეხედავს, არამედ დაინახავს და დააკვირდება კიდეც ბუნებაში მიმდინარე პროცესებს. ამ დროს ბავშვს უჩნდება სურვილი, მეტი და მეტი შეამჩნიოს და შეისწავლოს – სასეირნოდ წასვლა, ბუნების საოცრებათა ხილვა, ქვების, ხის ტოტების, მცენარეების შეგროვება, ჩიტების ჭიკჭიკის მოსმენა ისეთივე მნიშვნელოვანი ხდება მისთვის, როგორც საკვების მიღება. რეგულარული გასეირნების დროს ბავშვს ეძლევა საშუალება, გაითავისოს უკვე მიღებული გამოცდილება და ახალ-ახალ შთაბეჭდილებებს ეზიაროს. კვირაში ერთხელ ვალდორფის ბაღში გვაქვს ტყეში გასეირნების დღე. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მორალური ამოცანა, რომელიც აღმზრდელებს გვაკისრია, არის ბავშვში ბუნების სიყვარულის განვითარება.

ვალდორფის ბაღში საკმაოდ დიდს ყურადღებას აქცევენ **სოციალური კომპეტენციის** განვითარებას. სოციალურ ურთიერთობებს სწავლა სჭირდება; სოციალური კომპეტენციის გარეშე წარმოუდგენელია როგორც ცალკეული ადამიანის, ისე მთელი საზოგადოების არსებობა. ყოველ ინდივიდს, მისი თავისუფალი იმპულსებიდან გამომდინარე, უნდა შეეძლოს საზოგადოებას თავისი უნარები და იდეები შესთავაზოს, ხოლო საზოგადოებამ უნდა შექმნას სივრცე ამ იდეათა განსახორციელებლად. ადამიანი სრულყოფილ პიროვნებად მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად ყალიბდება; ჰარმონიული, სწორი დამოკიდებულება ინდივიდსა და სოციუმს შორის ძალზე მნიშვნელოვანია; ერთ ან მეორე მხარეს

გადახრა დამღუპველია როგორც ინდივიდისთვის, ასევე საოციუმისთვის. ამიტომ, არა მხოლოდ უნდა შევქმნათ ინდივიდუალური განვითარებისთვის საჭირო პირობები, არამედ ბავშვში სხვა ადამიანების პატივისცემის უნარიც უნდა განვავითაროთ.

ვალდორფის ბაღში, ჯგუფები შერეული ასაკობრივი პრინციპით არის შედგენილი, რაც მნიშვნელოვანია ჯანსაღი სოციალური ურთიერთობებისთვის. პატარები ბაძავენ უფროსებს, უფროსები ზრუნავენ პატარა მეგობრებზე, ცდილობენ მათ თამაშში ჩართვას, ეხმარებიან ტანსაცმლის ჩაცმაში; უფროს მეგობარზე დაკვირვების შედეგად, პატარას შეუძლია თქვას, რომ ის ისეთივე ძლიერი, სამართლიანი და მზრუნველი იქნება, როგორც მისი უფროსი მეგობარი.

ვალდორფის საბავშვო ბაღში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა **სათამაშო** მასალის ხარისხს. სათამაშოები მაქსიმალურად ბუნებრივი მასალისგან უნდა იყოს დამზადებული, უძველესი ფორმებით (სამკუთხედი, ოთხკუთხედი და ა.შ) და ძირითადი ფერებით დაფარული. ბუნებრივი ფერები ბავშვში აღძრავს კეთილგანწყობას, რაც ხელს უწყობს ბავშვის ფანტაზიის განვითარებას. ბავშვებს არ სჭირდებათ კომერციული სათამაშოები; ჯოხები, ქვები, ფოთლები, გირჩები, ხის კუნძები, ნიჟარები თუ რკოები, ფერადი ბუნებრივი მასალის (ბამბის, შალის, აბრეშუმის) სხვადასხვა ზომის ნაჭრები ბავშვების ხელში მაშინვე იძენს სათამაშო ფუნქციას.

ვალდორფის საბავშვო ბაღში ბავშვური **ფანტაზიის** განვითარებაზე ზრუნვა სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ბოლომდე ფორმამიუცემელი, დაუსრულებელი სათამაშოები, აღმზრდელის მიერ მოთხრობილი პატარ-პატარა ამბები უსაზღვრო წარმოსახვის უნარს აღვიძებს პატარებში; ისინი ყველაფერს გარდასახავენ, სულს შთაბერავენ და აცოცხლებენ. ვალდორფის საბავშვო ბაღში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სიმღერებს, ზღაპრებს, ლექსებს, თითებით თამაშს. ასე თამაშ-თამაშით ეუფლება ბავშვი სწორ მეტყველებას – მეტყველებასთან ერთად და მისი საშუალებით ვითარდება აზროვნება. იმისთვის, რომ ბავშვმა კარგად იმეტყველოს, სჭირდება კარგად მეტყველი უფროსი გვერდით. აღმზრდელის საუბარი უნდა იყოს მკაფიო, გარკვეული, სურათ-ხატოვანი, გულწრფელი და ასაკის შესაბამისი. ბავშვებს არ უნდა ვესაუბროთ ენის მოჩლექით ანდა აბსტრაქტული განმარტებებით; მათ მეტყველებაში არ უნდა ჩავერიოთ, უნდა მივცეთ საშუალება, თავისუფლად ისაუბრონ.

ფანტაზიის განვითარების უშრეტი წყაროა ხალხური **ზღაპრები**; ბავშებს ჰაერივით სჭირდებათ ისინი. ზღაპარი საუკეთესო სულიერი საკვებია ბავშვისთვის. უჩვეულოდ მდიდარი სიტყვათა საგანძურით, ხალხურმა ზღაპრებმა შემოგვინახა სამყაროს შექმნისა და განვითარების ისტორია. როდესაც ბავშვს ზღაპარს ვუყვებით, ის იწყებს მოგზურობას ჯადოსნურ სამყაროში. ზღაპრის მთავარ გმირთან ერთად გადის ყველა დაბრკოლებას, მასთან ერთად ამარცხებს ბოროტს და ერთად ზეიმობენ გამარჯვებას. ზღაპრის დახმარებით, ბავშვი სწავლობს კეთილისა და ბოროტის გარჩევას, სწავლობს, რომ არ უნდა ენდოს ბოროტს, რომ არ შეიძლება იმეგობროს მასთან; სწავლობს შიშის დაძლევას, სიმამაცეს. ზღაპრის მეშვეობით მდიდრდება ბავშვის შინაგანი სამყარო. ზღაპარი ასწავლის, რომ თუ მიზანს დაისახავს, მის მისაღწევად ბოლომდე უნდა იბრძოლოს, რაც არ უნდა დიდი ძალისხმევა, გარჯა და შრომა დასჭირდეს ამისთვის.

ერთი და იგივე ზღაპარს რამდენიმე კვირის განმავლობაში ვყვებით; ამით შესაძლებლობას ვაძლევთ ბავშვებს, უფრო და უფრო გაითავისონ ზღაპრის შინაარსი, მუდმივად აღმოაჩინონ მასში ახალი; ის არასდროს ხდება ბავშვისთვის მოსაწყენი, პირიქით, უზარმაზარია ნაცნობი კულმინაციური ადგილების მოლოდინით გამოწვეული სიხარული.

შინაარსის გადმოცემის ერთ-ერთი ფორმაა **მაგიდის თეატრი** – ლექსი, მოთხრობა და ზღაპარი თოჯინების მეშვეობით ცოცხლდება; ამ დროს ბავშვი უფრო ადვილად შედის ზღაპრის იდუმალ სამყაროში,

წარმოდგენა უფრო მეტ სტიმულს აძლევს მას თამაშისთვის. მარტივად მოწყობილი სცენა და მარტივი თოჯინები სურათ-ხატოვან წარმოდგენას აღძრავს მასში. იმისთვის, რომ სათამაშო იმპულსები აღიძრას, საჭიროა წარმოდგენის რამდენიმე კვირის განმავლობაში გამეორება.

ფერხული, მოძრაჯი ჩიტმული თამაშები, სიმღერა

მუსიკა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. ბაღში დილა იწყება სიმღერით; ვმღერით საუზმის მომზადების, ხელსაქმის, დალაგების დროს, ზღაპრის მოყოლის წინ; ვმღერით წელიწადის დროის შესაბამის სიმღერებს; ვუკრავთ არფაზე, ქსილოფონზე, მაგრამ საბავშვო ბაღის ასაკში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი არის ადამიანის ხმა. ბავშვობის ასაკში პენტატონიკური და ხალხურ მოტივებზე შექმნილი სიმღერებია მნიშვნელოვანი.

ფერხული, ეს არის გარითმული მოკლე ამბავი ან ზღაპარი, სიმღერისა და მოძრაობის თანხლებით. ფერხული იცვლება წელიწადის დროების მიხედვით. ფერხულში ხან მეფე-დედოფლებად, ხან ქონდრისკაცებად და ხელოსნებად, ხან კი ფრინველებად და ცხოველებად გადავიქცევით. თითოეული წარმოთქმული სიტყვა მოძრაობას უნდა ემთხვეოდეს; ამ დროს ყველა გრძნობის ორგანო აქტიურია, ვითარდება სოციალური უნარიც. ფერხულში ხშირად გამოიყენება საპირისპირო ხატები, მაგ.: დიდი და პატარა, ხმამაღლა და ხმადაბლა, ჩქარი და ნელი, აქტიური და პასიური; ორ საპირისპირო პოლუსს შორის მუდმივი მოძრაობაა, ეს ყველაფერი კი შესაძლებლობას აძლევს ბავშვს, ჰარმონიულად განვითარდეს, ჩამოუყალიბდეს წელიწადის დროებთან სწორი მიმართება.

ევრითმია

სიტყვა ევრითმია ძველი საბერძნეთიდან მოდის (eu—ლამაზი, rythmos—ნაკადით გამოხატული მოძრაობა). ის, როგორც ახალი, თანამედროვე, მოძრაობის ხელოვნება, მე-20 საუკუნის დასაწყისში ავსტრალიელი ფილოსოფოსისა და პედაგოგის რუფოლფ შტაიერის მიერ შეიქმნა.

თავდაპირველად, ევრითმია, როგორც მოძრაობით გამოხატული ხილული მეტყველება და მუსიკა, სასცენო ხელოვნების დარგი იყო, მაგრამ მისმა მრავალმხრივმა შესაძლებლობებმა პრაქტიკულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და ეფექტური გამოყენება ჰპოვა პედაგოგიკური, სამკურნალო თუ ჰიგიენური ევრითმიის სახით.

ევრითმიას ვალდორფის პედაგოგიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ევრითმიული სავარჯიშოები ითვალისწინებს ბავშვის ასაკობრივი განვითარების სპეციფიკას. მათი მეშვეობით ხდება როგორც ინდივიდუალური, ასევე სოციალური უნარების განვითარება.

ინდივიდუალური უნარების განვითარება: ინდივიდუალური ზრდის პროცესის ჰარმონიზება; გახსნილობის, გულწრფელობისა და სითამამის წახალისება; შიშისა და დაურწმუნებლობის გადალახვა; ყურადღების კონცენტრაციისა და სხეულის აღქმის გაძლიერება; წონასწორობის გრძნობის გავარჯიშება; სივრცეში ორიენტაციის განვითარება.

სოციალური უნარების განვითარება: ჯგუფური ზრდის პროცესის ჰარმონიზება; სხვების პატივისცემის, ნდობის, ერთობლივი მუშაობის, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება.

ხაფჭა

მსოფლიოში ყველა ბავშვი, ასაკობრივი განვითარებისას, გარკვეულ კანონზომიერებებს ემორჩილება. ასაკობრივი განვითარება ყველაზე კარგად მათ ნახატებში აისახება. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დახატული ერთი ასაკის ბავშვების ნახატები მსგავსი შტრიხებით ხასიათდება. თუკი ნახატის წაკითხვას ვისწავლით, დავინახავთ, სად აქვს ბავშვს პრობლე-

მები, რა სტკივა, რა აწუხებს, რა უხარია, სად სჭირდება ჩვენი დახმარება. ამიტომ, ხატვა ვალდორფის საბავშვო ბაღში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობაა. აღმზრდელები ხატვის პროცესში არ ერევიან, არ ხდება ხატვის სწავლება; ბავშვი ხატვისას თავისუფალია, ხატავს იმას, რაც მას სურს და როგორც შეუძლია. ბავშვის ნახატები მოგვითხრობენ მათი სასიცოცხლო ძალების, შინაგანი ორგანოების და შინაგანი ძალების განვითარების შესახებ. ნახატებში არასდროს არ უნდა შევიტანოთ შესწორება. უმეტესად, ბავშვი ხატავს იმ გარემოს, სადაც ის ცხოვრობს. თითოეული ნივთი ნახატში საკუთარ თავთან არის გაიგივებული. ნახატებში, ასაკობრივი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, განსაზღვრული ფორმები ჩნდება. მაგალითად, ბავშვი წრეს კრავს 3 წლის ასაკში, ოთკუთხედი 4-5 წლის ასაკში ჩნდება, სამკუთხედი – 5-6 წლის ასაკში. ანუ, ბავშვებს ამ დროს სწორედ ის ფორმები გამოჰყავთ, რომლისთვისაც მათი ორგანიზმი არის მზად.

იმისათვის, რომ ბავშვებში განვითარდეს მხატვრულ-შემოქმედებითი უნარი, მნიშვნელოვანია, ბავშვმა განიცადოს ფერთა სამყარო. ამიტომ, კვირაში ერთხელ ვხატავთ წყლის საღებავებით (თხევადი აკვარელით). თავიდან მხოლოდ ერთ ფერს ვაძლევთ (ყვითელს) და ვუყვებით პატარა ამბავს, შემდეგ შემოდის მეორე ფერი (წითელი) და ვაგრძელებთ ამბის მოყოლას. ორი ფერის შეხვედრისას იბადება მესამე ფერი; ბავშვები გაფართოებული თვალებით აკვირდებიან ამ სასწაულს. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ შემოდის მესამე ფერი (ლურჯი). ძალიან მნიშვნელოვანია წყლის საღებავებით ხატვა; ბავშვებისთვის იხსნება ფერთა ჯადოსნური სამყაროს კარი. მათ მხედველობაზე და გემოვნებაზე სასიკეთო გავლენას ახდენს ფერები და ფერების სხივთა კავშირი.

თავისუფალი თამაშის დროს, ერთ-ერთ მაგიდაზე აღმზრდელი კონკრეტული **ხელსაქმისთვის** საჭირო ნივთებს აწყობს. ბავშვების ნაწილი შემოუჯდება მაგიდას და იწყებს კერვას (ან თითებით ქსოვას, ან აკეთებენ აპლიკაციებს). ამ დროს ბავშვები ეუფლებიან ხელების გონივრულად, მარჯვედ მოძრაობას, ვითარდება ფაქიზი მოტორიკა; სამუშაო აუცილებლად ბოლომდე უნდა დასრულდეს. საკუთარი ხელით შექმნილი ნივთი ყველაზე საყვარელი სათამაშოა ბავშვებისათვის; ხელსაქმეც წელიწადის დროების მიხედვით იცვლება. შემოდგომაზე – ფერადი ქაღალდებისგან ამზადებენ ფრანებს, ლამპრებს, კერავენ ჯუჯებს; ასევე, ვასხამთ ძაფზე ნიგოზს და ვავლებთ ჩურჩხელებს. ზამთარში ვაკეთებთ საშობაო ბაგებს, ვჭრით ფიფქებს, ვკეცავთ ვარსკვლავებს, ვავლებთ სანთლებს. გაზაფხულზე ვკერავთ ჩიტებს, ბაჭიებს, ვაკეთებთ გირლიანდებს. ზაფხულში ფერადი ქაღალდებისგან ვაკეთებთ ყვავილებს.

რადგან ვალდორფის პედაგოგიკის მიზანია ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდა, კვებასაც უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ. სრულფასოვანი კვება საკვები პროდუქტის ხარისხზეა დამოკიდებული. საკვებმა ადამიანს მოძრაობისკენ უნდა უბიძგოს, სასიცოცხლო ძალებით აღავსოს, გააქტიუროს, ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც თვითონ პროდუქტია მაცოცხლებელი ძალებით სავსე. სწორად შერჩეული საკვები ხელს უნდა უწყობდეს ნივთიერებათა ცვლის პროცესს, საჭმლის მომნელებელი სისტემის სწორად ფუნქციონირებას და ნების განმტკიცებას, მაგრამ ჯანსაღი პროდუქტის მიღებასთან ერთად, მნიშვნელოვანია თუ როგორ გარემოში, როგორ დამზადებულ საკვებს და რა თანმიმდევრობით მივიღებთ. ცხოვრების რიტმის მოწესრიგება ყველაზე უკეთ კვების დროთა დაცვით მიიღწევა. ბავშვებისთვის აუცილებელია კვებასთან დაკავშირებული პატარა რიტუალი: კვების დაწყების წინ - მოკლე ლოცვა და დასრულების შემდეგ - სამადლობელი სიტყვები. კვება სოციალური წვრთნის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, საკვების თანაბრად განაწილება, სხვისი სურვილების გათვალისწინება და შენის ცოტა უკან დახევა; ჭამას არ ვიწყებთ მანამ, სანამ ყველა არ იქნება ამისთვის მზად. ეს ჩვევები

საბავშვო ბაღში ყოველდიურად ვარჯიშდება. ასევე მნიშვნელოვანია, საუზმის მომზადებაში ბავშვებმაც მიიღონ მონაწილეობა—არჩევენ მარცვლეულს, ჭრიან ხილს, ზელენ ცომს და აცხობენ პურს და ორცხობილებს, შლიან და ალაგებენ სუფრას.

ოჯახური გარემოს და განწყობის შექმნა არის უმთავრესი. ბაღის ინტერიერი ბავშვის ასაკის შესაბამისად უნდა იყოს მოწყობილი. მისი პირველი შთაბეჭდილებები ხელოვნური მასალის აღქმასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. ხელოვნური საგნები დაფერილი ხელოვნური ფერებით არ გამოხატავს სამყაროს რეალურ ხასიათს. იმისთვის, რომ ბავშვმა სამყაროს ჭეშმარიტი აღქმა შეძლოს, სასურველია მხოლოდ ბუნებრივ მასალასთან ჰქონდეს შეხება. დიდი მნიშვნელობა აქვს ოთახის ფერთა გამას, ავეჯის ხარისხს. ოთახი უნდა იყოს ნათელი, სასურველია მკრთალი ვარდისფერით ოდნავ დაფერილი; ფარდებიც, რა თქმა უნდა, ბუნებრივი მასალის და ვარდისფერი; იატაკი და ავეჯი - ხის და არ უნდა იყოს ლაქით დაფარული; ავეჯის კუთხეები უნდა იყოს გლუვი.

ოთახში სხვადასხვა სათამაშო სივრცეა მოწყობილი: თოჯინების სახლი, მაღაზია, სამშენებლო და თოჯინების თეატრის კუთხე. სივრცეები ერთმანეთისგან ხის მოძრავი ხარიხებით არის გამოყოფილი, მაგიდები, სკამები და ხარიხები ბავშვებს, სურვილისამებრ, შეუძლიათ გადააადგილონ და მათი დახმარებით ააგონ სახლი, გემი, მანქანა და ა.შ..

რა თქმა უნდა, ბაღის ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი აკისრია აღმზრდელს. რუდოლფ შტაინერი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია „აღმზრდელთა მხიარული სახეები და, რაც მთავარია, გულწრფელი უანგარო სიყვარული, რომელიც თავისი გამათბობელი სხივებით მთლიანად განმსჭვალავს ბავშვის გარემოცვას“. რა თქმა უნდა, ბავშვების სიყვარული არის უმთავრესი, მაგრამ ის ამასთანავე, სიღრმისეულად უნდა იცნობდეს მთლიანად ადამიანის არსებას, უნდა ერკვეოდეს ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებში, ბავშვებისთვის უნდა იყოს მისაბაძი მაგალითი, უნდა იყოს შემოქმედებითი, კრეატიული ადამიანი. ის თავად უნდა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, რომ თავისუფალი ადამიანების აღზრდა შეძლოს; მუდამ უნდა ისწრაფვოდეს თვითგანვითარებისკენ, რადგან მასზეა დამოკიდებული, როგორ განხორციელდება ვალდორფის პედაგოგიკის კონცეფცია ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში. აღმზრდელის ვალდებულებაა, ჩაატაროს მშობელთა კრებები, გააცნოს მშობლებს ბაღში მიმდინარე პროცესები და ჩართოს ისინი ბაღის ერთიანი ცხოვრების ფერხულში. ყოველ ხუთშაბათს, პედაგოგიურ კონფერენციაზე ვმუშაობთ პედაგოგიურ და ბაღის ტექნიკურ საკითხებზე.

ჩვენ რუდოლფ შტაინერის ამ გამონათქვამით ვამთავრებთ სტატიას:

„ბავშვი პატივისცემით მიიღე,
სიყვარულით აღზარდე,
თავისუფლებაში თავისუფალი გაუშვი“.

„მუდენი – ადრეულ ასაკში სწავლის უნარების შეფასების სკალის“ ადაპტირება და ნორმირება

თამთა ჭამუშაძე
ნინო დოგიძე

„მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის – საქართველო“ (MAC Georgia)

არასამთავრობო ორგანიზაცია „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის – საქართველო“ („მაკ ჯორჯია“), უკვე 15 წელია რამდენიმე მიმართულების ფარგლებში თანამშრომლობს ქვეყანაში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს მასშტაბით, ბავშვის შეფასების სფეროში არსებული წინსვლების მიუხედავად, საქართველოში, შეფასების სტანდარტიზებული და ნორმირებული ინსტრუმენტების ნაკლებობაა, „მაკ ჯორჯიას“ საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას კი სწორედ ქვეყანაში სხვადასხვა საჭირო პროფესიული რესურსის შექმნა წარმოადგენს, ორგანიზაციის ინიციატივით დაიგეგმა და ეფექტურად ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის ადაპტირებასა და ნორმირებაზე მიმართული რიგით მეორე კვლევა.

პირველი კვლევა, რომლის მიზანსაც არავერბალური ინტელექტის შეფასების ინსტრუმენტის (TONI-4) ადაპტირება და ნორმირება წარმოადგენდა, ჩატარდა 2016 წელს. კვლევის საფუძველზე შემუშავდა ნორმები საქართველოში მცხოვრები 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისათვის. ნორმირებული ინსტრუმენტი დღემდე აქტიურად გამოიყენება როგორც ბავშვებისა და მოზარდების ინტელექტუალური ფუნქციონირების შესაფასებელი ერთ-ერთი ხელსაწყო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვადასხვა კლინიკებში მომუშავე სპეციალისტების მიერ.

ამჟამად, ორგანიზაცია ახორციელებს კვლევას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ინსტრუმენტის – „მულენი – ადრეულ ასაკში სწავლის უნარების შეფასების სკალა“ (Mullen Scales of Early Learning) – ადაპტირება და ნორმირება. აღნიშნული სკალა წარმოადგენს კოგნიტური ფუნქციონირების შესაფასებელ, ინდი-

ვიდუალურად ადმინისტრირებად საზომს, რომელიც სანდოობის მაღალი ხარისხით აფასებს სკოლამდელი ასაკის ბავშვის სწავლის უნარებს.

> მულენის სკალის გამოყენება შესაძლებელია საგანმანათლებლო და კლინიკურ გარემოში, როგორც ბავშვის ზოგადი კოგნიტური ფუნქციონირების დონისა და სასკოლო მზაობის შესაფასებლად, ისე ცალკეულ სფეროებში არსებული საჭიროებების განსაზღვრის მიზნით. გარდა ამისა, ინსტრუმენტს აქვს რამდენიმე დამატებითი უპირატესობა, კერძოდ:

- დავალებების და მათთვის განკუთვნილი მასალის მრავალფეროვნება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისათვის საინტერესოს და სახალისო პროცესს
- მინიმალური კულტურული დატვირთვის მქონე დავალებები და სასტიმულო მასალა
- ადმინისტრირებისათვის საჭირო მცირე დრო და დაბალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შემფასებლის მიმართ

ჭვლეკის ინსტრუმენტი

„მულენი – ადრეულ ასაკში სწავლის უნარების შეფასების სკალა“ – ქართული ვერსია აფასებს 24 თვიდან 69 თვემდე ასაკის ბავშვების განვითარების შემდეგ სფეროებს: მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები, ვიზუალური გადამუშავება, რეცეპტული და ექსპრესიული ენა. სკალა ასევე იძლევა კოგნიტური ფუნქციონირების საერთო ქულას.

ინსტრუმენტის თითოეულ სკალაზე, განსაზღვრულია საწყისი დავალება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის. მაგალითად, რეცეპტული ენის სკალისათვის, 24 თვის ასაკის ბავშვისათვის განკუთვნილი საწყისი დავალება მოიცავს დასახელებულ სხეულის ნაწილებზე მითითებას, 33 თვის ასაკის ბავშვისათვის, სივრცითი მიმართებების დადგენას, ხოლო 45 თვის ასაკის ბავშვისათვის – ორსაფეხურიანი ინსტრუქციების შესრულებას. დავალებები დალაგებულია სირთულის მიხედვით და შემფასებელი აგრძელებს დავალებების ადმინისტირებას იქამდე, სანამ არ დადგება შეწყვეტის კრიტერიუმი.

კვლევა ხორციელდება სამ ეტაპად: მოსამზადებელი ეტაპი, პილოტური კვლევა და ძირითადი კვლევა.

მოსამზადებელი ეტაპი

მოსამზადებელ ეტაპი მოიცავდა ინსტრუმენტის დავალებებისა და სტანდარტიზებული ინსტრუქციების თარგმნას, უკუთარგმნასა და ექსპერტულ შეფასებას, რის საფუძველზეც მოხდა კულტურულად სენსიტიური რამდენიმე დავალების მოდიფიცირება და სასტიმულო მასალის მორგება.

პილოტური კვლევა

პილოტური კვლევის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, შეფასდა 24 თვიდან 68 თვემდე ასაკის 131 ბავშვი თბილისის, მცხეთისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. პილოტური კვლევის პირველი ეტაპის დასრულებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე, მოხდა ექსპრესიული ენის სკალის ცალკეული დავალებების მოდიფიცირება. მეორე ეტაპზე, კვლევაში მონაწილეობდა 172 ბავშვი თბილისის, თერჯოლის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიდან. საერთო ჯამში, 303 ბავშვზე ჩატარებული პილოტური კვლევის საფუძველზე შეიქმნა ინსტრუმენტის საბოლოო ქართული ვერსია.

ძირითადი კვლევა

ძირითადი კვლევა მოიცავს თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონში მცხოვრები 24 თვიდან 68 თვემდე ასაკის 1210 ბავშვის შეფასებას. ამჟამად შეფასებულია 717 (51% გოგო) ბავშვი, აქედან 418 თბილისის 39 სააღმზრდელო დაწესებულებაში და 299 საქართველოს 13 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში არსებულ 24 სააღმზრდელო დაწესებულებაში.

თითოეულ მუნიციპალიტეტში შესაფასებელი ბავშვების რაოდენობა განისაზღვრება ამ მუნიციპალიტეტში არსებულ სააღმზრდელო დაწესებულებაში ჩარიცხულ ბავშვთა საერთო რაოდენობის პროპორციულად. ხოლო შემთხვევით შერჩეულ ცალკეულ დაწესებულებაში შესაფასებელი ბავშვების რაოდენობა, დამოკიდებულია ბაგა-ბაღში აღსაზრდელების საერთო რაოდენობაზე.

დაწესებულებები, კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩნენ. შერჩევის შემდეგ, „მაკ ჯორჯიას" წარმომადგენლები უკავშირდებიან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას და აწვდიან ზოგად ინფორმაციას კვლევის შესახებ. დაწესებულების მიერ კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში, მაკ ჯორჯიას ფსიქოლოგები ბაგა-ბაღში ახორციელებენ პირველად ვიზიტს და დაწესებულების ადმინისტრაციის აწვდიან ინფორმაციას კვლევის შესახებ. დაწესებულების მხრიდან თანამშრომლობაზე თანხმობის გაცხადების შემდეგ, ბავშვის მიერ კვლევაში მონაწილეობის მიღების წინაპირობას წარმოადგენს მშობლის/მეურვის წერილობითი თანხმობა. მშობლის წერილობითი ინფორმირებული თანხმობის ფორმა ასახავს ძირითად ინფორმაციას ორგანიზაციისა და კვლევის შესახებ და საშუალებას აძლევს მშობელს, ინფორმაციის გაცნობის შედეგად გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი – სურს თუ არა რომ მისმა შვილმა მიიღოს მონაწილეობა კვლევაში.

თუკი, მშობლების გარკვეული რაოდენობა წერილობით ადასტურებს მათი შვილის კვლევაში მონაწილეობის შესახებ თანხმობას, „მაკ ჯორჯიას" წარმომადგენლები გეგმავენ დაწესებულებაში ვიზიტს, ბავშვების შეფასების მიზნით.

შეფასების ინსტრუმენტის ადმინისტრირების პროცედურა

შეფასების ინსტრუმენტით ბავშვის შეფასება ხდება ინდივიდუალურად, ბაღის გარემოში არსებულ იზოლირებულ სივრცეში. შეფასების პროცესში, შემფასებელი ბავშვს წარუდგენს გარკვეულ დავალებებს, აქტივობებს და აკვირდება ბავშვის მიერ დავალების შესრულების ხარისხს, წინასწარ არსებული კრიტერიუმების საფუძველზე. თითოეული ბავშვის შეფასებისთვის განკუთვნილი დრო განსხვავებულია და დამოკიდებულია ბავშვის ასაკსა და სხვა ინდივიდუალურ ფაქტორებზე. თუმცა, საშუალოდ, შეფასებისთვის განკუთვნილი დრო მერყეობს 30-დან 60 წუთამდე.

შეფასების მონაცემების დამუშავება და სამომავლო გამოყენება

კვლევის დასრულების შემდეგ, შესაძლებელი იქნება საქართველოს მასშტაბით, სკოლამდელი განათლების დაწესებულების აღსაზრდელების სწავლისა და განვითარების საერთო დონის განსაზღვრა და ასაკობრივი ნორმების შემუშავება.

ნორმატიული ინსტრუმენტის არსებობა და მისი გამოყენებით შეფასება, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს ზუსტი და სანდო მონაცემების მოპოვების, საჭიროებების დროულად აღმოჩენისა და მიზნობრივი ინტერვენციების შემუშავების საშუალებას მისცემს.

სტუდენტი, როგორც მშობელი – გამოწვევები და პრობლემის გადაჭრის გზები



ᲓᲐᲕᲘᲓ ᲑᲔᲠᲘᲐᲜᲫᲔ

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, განათლების მიმართულების კოორდინატორი

21-ე საუკუნის სოციალური, ეკონომიური და საზოგადოებრივი გამოწვევები სკოლამდელი განათლების სფეროს მესვეურებს ბავშვზე ზრუნვის და განვითარების პირობების შესაქმნელად რიგ ამოცანებს უყენებს. ქვეყნის დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის ადამიანური კაპიტალის შრომის ბაზარში ჩართვის წინაპირობას თითოეული მოქალაქისთვის ზოგად, პროფესიულ ან უმაღლეს განათლებაში ჩართვა და მათი ხელმისაწვდომობა სახელმწიფო ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები სკოლამდელი განათლების სფეროს ხელშეწყობასა და განვითარებას სკოლამდელი განათლების პოლიტიკის შექმნით და პოლიტიკის შესაბამისი მოქმედებებით აღწევენ. ბევრი ქვეყნის მმართველობა ისეთ ღონისძიებებს მიმართავს როგორებიცაა – ადრეული განათლების დღის ცენტრების, სკოლამდელი დაწესებულებების, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან მოქმედი ბავშვზე ზრუნვის, ბავშვის აღზრდის და განათლების ცენტრების შექმნის ხელშეწყობა. აღნიშნული მომსახურების დაფინანსების წყაროები მრავალფეროვანია, ხშირ შემთხვევებში დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან ხდება. ეს შეიძლება იყოს თვითმმართველობის ფინასური რესურსები, ცენტრალური მთავრობის მიერ გამოყოფილი ფინანსები ან თავად დაწესებულებების საბიუჯეტო სახსრები.

რიგ ქვეყნებში, როგორებიცაა ამერიკა და ევროპის ქვეყნები (ლუქსემბურგი, დანია, ჰოლანდია საფრანგეთი) ბავშვის მომსახურება სტუდენტი მშობლებისთვის დღის ნებისმიერ მონაკვეთშია შესაძლებელი. იმის მიუხედავად, თუ რომელი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე არის მშობელი – პროფესიული განათლების, უმაღლესი განათლებისა თუ მომზადება-გადამზადების პროგრამის. სხვადასხვა ქვეყნებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვზე ზრუნვის და მოვლის სერვისებს თვითონ უმაღლესი განათლების დაწესებულება, ან პროფესიული განათლების დაწესებულებები უზრუნველყოფენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში პროფესიული განათლების დაწესებულებებისთვის ფედერალური მთავრობა გრანტის ფარგლებში შესაძლებელს ხდის ამგვარ მომსახურების მიღებას.

მშობლის, განსაკუთრებით, დედის მიერ უმაღლესი განათლების წარმატებით მიღება მეტწილად განაპირობებს ბავშვის წარმატებულ სწავლას სკოლაში. დღევანდელი სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობა სტუდენტ მშობლებს საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე აყენებს. ამასთანავე დადასტურებულია, რომ

საიმედო და ხარისხიანი მოვლის და ზრუნვის მომსახურება დადებითად მოქმედებს ბავშვის განვითარებაზე.

თანამედროვე განათლების სისტემა სხვადასხვა შესაძლებლობებს სთავაზობს სტუდენტებს. ამავდროულად, ჩნდება რიგი გამოწვევებიც, რომელთა დასაძლევად მხარდამჭერი სერვისების არსებობა აუცილებლობას წარმოადგენს. სტუდენტთა მრავალფეროვანი ცხოვრების წარმატება დიდად არის დამოკიდებული ძალიან ბევრ ფაქტორზე, მათ შორის ოჯახურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით კი იმ სტუდენტებისა, რომლებიც თავად არიან მშობლები.

მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტებმა შესაბამისი მხარდაჭერა და სერვისები შესთავაზონ სტუდენტებს, რომ მათ მიეცეთ ხარისხიანი სწავლისა და განვითარების შესაძლებლობა.

სტუდენტების ხელშეწყობის მექანიზმებზე ვისაუბრებთ სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მაგალითზე. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ფუნქციონირებს 2007 წლიდან და ახორციელებს პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. უნივერსიტეტში ირიცხება 2000-მდე სტუდენტი (პროფესიული და აკადემიური მიმართულებით). სასწავლო უნივერსიტეტი მდებარეობს აფხაზეთის დე-ფაქტო საზღვართან ახლოს, ბუნებრივია, სტუდენტების 40% არის აფხაზეთიდან დევნილი. შესაბამისად, ყველა ტიპის სტუდენტს სხვადასხვა სახის მხარდაჭერა სჭირდება, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოვყოფთ სტუდენტი-მშობლების მხარდასაჭერად გატარებულ ღონისძიებებს, რომლებიც გატარდა აღნიშნულ სასწავლო უნივერსიტეტში.

სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების, ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების მიზანია სტუდენტთა ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობა და სტუდენტების ინტერესების დაკმაყოფილება, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სტუდენტების პოტენციალის სრულად რეალიზებას, რომელიც, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მხოლოდ აკადემიური სასწავლო პროგრამებით ვერ მიიღწევა. თუმცა, უნივერსიტეტების გამოცდილებიდან გამომდინარე, ორიენტირება ხდება მხოლოდ აკადემიურ მოსწრებაზე და მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებაზე ზოგადად, ცალკეული სტუდენტების საჭიროებების იდენტიფიცირება კი ნაკლებად ხდება.

სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა საჭიროებების იდენტიფიცირება/დიაგნოსტირება კვლევისა და გამოკითხვების საფუძველზე დგინდება. სწორედ ამ გამოკითხვების საფუძველზე დადგინდა სტუდენტი დედების საჭიროებები, რომლებიც სწორედ ერთ-ერთი მორიგი კვლევის შედეგად წარმოჩინდა. ადრე ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვას ვერ ახერხებდა სტუდენტი გოგონების ნაწილი. ხშირი იყო გაცდენები, დაგვიანებები და რა თქმა უნდა, ეს ყოველივე აისახა მათ აკადემიურ მაჩვენებელზე. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა ინტერესისა და კვლევის საფუძველი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა კითხვარი და გამოიკითხა ამ კატეგორიის სტუდენტი გოგონები. გამოკითხულთა მიერ აღნიშნულის მიზეზად უმეტესწილად დასახელდა ოჯახური მდგომარეობა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ მათ ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, რის გამოც ვერ ახერხებებენ ერთდროულად მშობლისა და სტუდენტის ფუნქციის შეთავსებას.

გაცდენის მიზეზად გამოკითხული სტუდენტი გოგონების 75 % სწორედ მცირეწლოვანი შვილი/შვილების ყოლას ასახელებდნენ. იმის გამო, რომ სტუდენტ-დედებს არ ჰყავთ დამხმარე პირი, ვინც იზრუნებს ბავშვზე, სანამ დედა გარკვეულ დროს უნივერსიტეტში ატარებს, სტუდენტ დედებს არ აქვთ შესაძლებლობა სისტემატურად დაესწროს ლექციებს, ან გამოცხადნენ უნივერსიტეტში სასესიო პერიოდში. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ის სტუდენტი დედები, რომლებიც სასესიო პერიოდში მოდიოდნენ უნივერსიტეტში, თან მოჰყავდათ ჩვილები, მაგრამ არ ჰქონდათ შესაბამისი პირობები ბავშვის კვების, მოვლისა და ზრუნვისთვის ან ჩვილებს უტოვებდნენ მეგობრებს ან თან ჰყავდათ უნივერსიტეტში წამოყვანილი ოჯახის წევრები.

სასწავლო უნივერსიტეტში UNDP გაეროს განვითარების პროგრამის „გენდერული თანასწორობი-

სათვის საქართველოში“ მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც, სწორედ ამ მიზნებისთვის, შეძენილ იქნა შესაბამისი აღჭურვილობა და შეიქმნა შესაბამისი მატერიალური რესურსებით აღჭურვილი გარემო „ბავშვთა ოთახი“ ორ ადგილას: სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსსა და სასწავლო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში. ამ სივრცეების მოწყობისას გაითვალისწინეს სტუდენტი დედების შემოთავაზებები და წინადადებები. „ბავშვთა ოთახში“ ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ აქტიურ და პასიურ თამაშებში, ერთდროულად ითამაშონ სხვადასხვა სივრცეში მათი სურვილისა და ინტერესების შესაბამისად. თითოეული რესურსი მათთვის ხელმისაწვდომ ადგილასაა განთავსებული და მათზე წვდომა შეუზღუდავია. სამომავლოდ იგეგმება სენსო-მოტორული განვითარების სივრცის მოწყობა.

ამ ყოველივეს საფუძველზე მშობელ სტუდენტებს დღეს უკვე აქვთ შესაძლებლობა ფოკუსირება მოახდინონ სასწავლო პროცესზე და ამავდროულად დატოვონ შვილები სასწავლო პროცესის განმავლობაში უნივერსიტეტის მხრიდან სპეციალურად გამოყოფილი მეთვალყურის ან ოჯახის წევრის ზედამხედველობით.

ამ სივრცეების მოწყობის შემდეგ, გაუმჯობესდა აღნიშნული საჭიროებების მქონე სტუდენტების სალექციო დასწრება და აკადემიური მაჩვენებელი, გაიზარდა სტუდენტების მოტივაციაც და არა თუ სასწავლო პროცესში, არამედ, სტუდენტურ აქტივობებშიც. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დღეს სტუდენტი დედები ახერხებენ სწავლისა და ბავშვის მოვლის ერთმანეთთან შეთავსებას.

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, ასევე გამოიკვეთა საცხოვრებლის პრობლემა სტუდენტი დედებისთვის. ამ საჭიროებებიდან გამომდინარე, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება სტუდენტი დედების მოკლე ვადით, რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში, საერთო საცხოვრებელში განთავსების შესახებ.

სტუდენტები უკვე რამდენიმე წელია სარგებლობენ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ამ სერვისებით. შედეგად, სტუდენტ-დედებს მიეცათ საშუალება ერთდროულად შეასრულონ მშობლის მოვალეობა, იზრუნონ შვილზე და ამავე დროს მიიღონ ხარისხიანი განათლება. სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამის ნაწილში, ეს გამოცდილება მიჩნეულ იქნა საუკეთესოდ.



მშობლები, ოჯახები, თემი და საბავშვო ბაღი: მხარდაჭერა, თანამშრომლობა და გაძლიერება

ნინო თუხმანიძე

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მოწვეული მასწავლებელი ბსუ-ს პროფესიული პროგრამის „ენა, მეტყველება, კომუნიკაცია“ განმახორციელებელი

ადრეული ასაკის ბავშვის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში თანაბრად უნდა იყოს ჩართული როგორც მშობელი და ოჯახი, ასევე თემი და საბავშვო ბაღი. შევთანმხდეთ ფაქტზე, რომ ადრეული განათლების გაძლიერებისათვის მნიშნელოვანი ფაქტორებია მხარდაჭერა, თანამშრომლობა და თანამშრომლობის გაძლიერება.

ბავშვის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია თამაში, რომლისთვისაც დიდი დრო უნდა იყოს გამოყოფილი. ბოლო წლებში საგანმანათლებლო პროცესში თამაშის დრო შემცირდა და ჩანაცვლდა უფროსების მიერ მართული აქტივობებით დიდ ჯგუფებთან. უკვე აღვნიშნეთ, რომ ბავშვის განვითარებისთვის თამაში უპირატესია, რომ ყველა ბავშვი თამაშობს, არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ კულტურას მიეკუთვნება იგი რა შესაძლებლობები აქვს. ამიტომ უფროსები, რომლებიც ზრუნავენ ან ხელს უწყობენ ბავშვის განვითარებას, აუცილებლად უნდა ფლობდნენ თამაშის შესახებ ინფორმაციას.

საბავშვო ბაღებში თუ არ იქნება კვალიფიციური კადრები, რომელთაც ექნებათ სწორი ინფორმაცია ბავშვის გავითარების კანონზომიერებებისა და ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ, ბავშვის განვითარების პროცესი არ იქნება ხარისხიანი. იმავეს თქმა შესაძლებელია მშობლებზეც, თუ მშობლები არ იქნებიან ინფორმირებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნით, თუ რა არის საჭირო ბავშვების განვითარებისთვის, თუ არ იქნება საბავშვო ბაღებში მშობელთა ჩართულობა, არ იქნება მხარდაჭერა ბაღების გაერთიანების მხრიდან, ბავშვის განვითარების პროცესი ვერ იქნება სრულყოფილი. საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალის სისტემატური გადამზადება ხელს შეუწყობს **მშობლების, ოჯახების, თემის და საბავშვო ბაღის პერსონალის თანაბარ ჩართულობას, თანამშრომლობას და გაძლიერებას.**

არსებობს თამაშის განმსაზღვრელი, კონკრეტული მახასიათებლები. კერძოდ:

თავისუფალი არჩევანი – ბავშვი თავად ირჩევს, როდის დაიწყოს თამაში, რა და როგორ ითამაშოს და როდის შეწყვიტოს იგი;

შინაგანი მოტივაცია – ბავშვს თამაშისკენ აღძავს ფუნქციობის სურვილი, მისთვის თამაშის პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – თამაშის შედეგი, მაგალითად მოგების ან აშენებული კოშკის სახით.

მენტალური წესები – თამაშის წესები, თავად მოთამაშეს გონებაში წარმოიშვება, რომელიც შემდეგ ზიარდება და თანხმდება მოთამაშეებს შორის;

რეალობიდან „გასვლა“ – თამაში ყოველვის გულისხმობს რეალური სამყაროდან რაღაც დოზნით წარმოსახულ სამყაროში „გადანაცვლებას“. მოთა-

მაშის გონებაში „ვითომ“, „ვითომ“ წარმოდგენების გაცოცხლებას;

აქტიური ჩართულობა – თამაშის დროს ბავშვის ყურადღება მიმართულია საქმიანობისკენ. ამ დროს ის ნაკლებად რეაგირებს გარეგან გამღიზიანებზელზე. ამავდრულდა ჩანს, რომ მოთამაშე პროცესისგან იღებს სიამოვნებას.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ბავშვის ყველა აქტივობა არ არის თანხვედრაში ამ მახასიათებლებთან. ბავშვის განვითარების საქმეში ჩართული პირებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რომელი აქტივობა არის თამაში და რომელი – აქტივობა თამაშის ელემენტებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თამაში სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების განმაპირობებელი ფაქტორია. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თამაშის შესახებ სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ როგორც საბავშვო ბაღების წარმომადგენლებს, ისე ბავშვის მშობლებსა თუ მზრუნველებს, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს ბავშვის თამაშის წახალისება და შესაბამისი განმავითარებელი გარემოს შექმნა.

სწორედ ზემოთქმულიდან გამომდინარე მიზნად დავისახეთ შემდეგი:

1. შეგვესწავლა, თუ რა ინფორმაცია აქვთ საბავშვო ბაღების პერსონალსა და მშობლებს თამაშის მნიშნელობასა და არსზე;
2. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე თამაშის მნიშვნელობის შესახებ აგვემაღლებინა ცნობიერება საბავშვო ბაღის თანამშრომლებსა და მშობლებში;
3. ხელი შეგვეწყო საგანმანათლებლო პროცესში მშობელთა ჩართულობისთვის, საბავშვო ბაღსა და მშობლებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებისთვის;
4. თამაშის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გვეზრუნა საბავშვო ბაღებში ფიზიკური გარემოს ცვლილებაზე.

თამაშის არსისა და ბავშვის განვითარების საქმეში მისი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებაში არსებული ცოდნის შესასწავლად, პირველ ეტაპზე გადავწყვიტეთ საბავშვო ბაღების პერსონალისა და მშობლების გამოკითხვა. აღნიშნულის განხორციელების მიზნით. შევადგინეთ ძალიან მარტივი, თუმცა ინფორმაციული სახის შეკითხვები თამაშის არსისა და მახასიათებლების შესახებ, როგორც მშობლებისთვის, ასევე აღმზრდელებისთვის.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 17 საბავშვო ბაღის 146-მა თანამშრომელმა (საბავშვბო ბაღების ხელმძღვანელებმა, მეთოდისტებმა, ჯგუფის აღმზრდელებმა, ფსიქოლოგებმა, ლოგოპედებმა, სპეც. მასწავლებლებმააღნიშნულ საბავშვო ბაღებში სულ 230 პირია დასაქმებული.

საბავშვო ბაღების თანამშრომელთა 13% მიიჩნევს, რომ თამაში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ხელს უწყობს სკოლისთვის მზაობას; 46,6 % მიიჩნევს, რომ თამაში აუცილებელია ბავშვის განვითარებისთვის, თუმცა საგანმანათლებლო პროცესთან კავშირში არ არის, ბავშვი თამაშისას მხოლოდ ერთობა;

40,4 % მიიჩნევს, რომ თამაში ხელს უწყობს ბავშვის სოციალურ-ემოციურ განვითარებას;

მშობელთა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 650-მა მშობელმა. გამოკითხვიდან მიღებული შედეგი კი შემდეგნაირია:

დიაგრამა 1. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესში თამაში?



შეკითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესში თამაში, მშობელთა 14,3 % მიიჩნევს, რომ თამაში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ხელს უწყობს სკოლისათვის მზაობას;

მშობელთა 44,5 % მიიჩნევს, რომ თამაშს საგანმანათლებლო პროცესთან კავშირში არა აქვს და ბავშვი თამაშისას მხოლოდ ერთობა;

41,2 % კი თვლის, რომ თამაში ხელს უწყობს ბავშვის სოციალურ-ემოციურ განვითარებას (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 2. თქვენმა შვილმა თამაშისთვის აირჩია ჭუჭყიანი თამაშის სახეობა და დღის ბოლოს ბაღიდან მოდის დაჭუჭყიანებული ტანსაცმლით, გაგებით მიუდგებით ამ საკითხს, თუ საყვედურით მიმართავთ ბაღის ადმინისტრაციას/აღმზრდელს



შეკითხვაზე, თუ ბავშვმა თამაშისას აირჩია ჭუჭყიანი თამაშის სახეობა და დღის ბოლოს საბავშვო ბაღიდან სახლში დასვრილი ტანსაცმლით დაბრუნდა, 560 გამოკითხული მშობლიდან 2.3 % მიიჩნევს, რომ საყვედურით მიმართავს ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან აღმზრდელებს;

52% მიიჩნევს, რომ სისუფთავეს უფრო დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ აღმზრდელებმა;

45,7 % აღნიშნავს, რომ გაგებით მოეკიდება ამ საკითხს (იხ. დიაგრამა 2).

ჩატარებული გამოკითხვის ლოგიკური გაგრძელება იყო შეხვედრების ორგანიზება სამიზნე ჯგუფებთან. ჩვენი სამუშაოს მეორე ეტაპზე გავმართეთ წინასწარ შერჩეულ რამოდენიმე ბაღთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა თემაზე: „რა არის თამაში და რამდენად მნიშნელოვანია ის ბავშის განვითარებიასთვის“.

შეხვედრაზე განვიხილეთ საკითხები, თურა არის თამაში, როგორ ხვდებიან აღმზრდელები, რომ ბავშვები თამაშობენ, აგრეთვე ვუყურეთ ვიდეო მასალას თამაშებზე, განვიხილეთ უამრავი მაგალითი და ჩამოვწერეთ ის საკითხები, რაც სამომავლოდ გამოგვადგებოდა თამაშის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ასევე ფიზიკური გარემოს მოსაწყობად. ვინაიდან, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის[1] მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „აღმზრდელ-პედაგოგი ფიზიკური გარემოს მოწყობისას/ ადაპტირებისას ითვალისწინებს მოქმედებების, აქტივობების ფორმებს და უზრუნველყოფს სივრცის სწორ გადანაწილებას. იცავს ბალანსს შემდეგი ტიპის სივრცეებს შორის: სივრცე სხვადასხვა ზომის ჯგუფური და ინდივიდუალური საქმიანობებისთვის, სივრცე აქტიური/ხმაურიანი და პასიური/მშვიდი საქმიანობებისთვის შენობასა და მის გარეთ არსებულ სივრცეში. შემდეგ კი შევთანმხდით, რომ დავაკვირდებოდით საგანმანათლებლო პროცესებს ჯგუფებში, შევადა-

რებდით გაშუქებულ ვიდეოებში ნაჩვენებ თამაშებს, ყურადღებას მივაქცევდით ჯგუფის ოთახებს და მათ სივრცეებს და შევადარებდით ასევე ჩვენს საბავშვო ბაღებში არსებულ სიცრცეებსა და მათ განაწილებას. შეხვერაზე განვსაზღვრეთ დრო შემდეგი ვიზიტებისა და მშობელთან შეხვედრების ორგანიზებისათვის.

მესამე მნიშნელოვანი ეტაპი იყო მშობელთან შეხვედრის ორგანიზება, სადაც ცნობიერების ამაღლების მიზნით ვისაუბრეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თამაშისათვის ხელისშეწყობა და მის სწორად ორგანიზებაში მშობელთა ჩართულობა.

ჩატარებული შეხვედრების შედეგებიდან ერთ-ერთი მნიშნელოვანი საკითხი – მშობლების, თემის, გაერთიანებისა და ბაღის ერთობლივი ძალისმევით ეზოს ცენტრებად მოწყობა იყო. ვინაიდან, ხარისხნიანი თამაშის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონეტია ეზოც. „მყუდრო ეზო, რომელიც ასევე სხვადახვა სივრცეებად არის დაყოფილი და ბავშვებს მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარი თამაშების შესაძლებლობებს უქმნის. (დოლიძე, ბარბაქაძე, ჯიჯავაძე 2020: 38), ამავდროულად ბავშვების ფიზიკური განვითარებისათვის ეზოში ბავშვებმა უნდა შეძლონ: სირბილი, ცოცვა, კოტრიალი, ხტომა, ჭენება, წონასწორობის შენარჩუნება, ჩამოკონწიალება, ქანაობა, სრიალი, გაჩოჩება, მიწოლა, რაღაცის ტარება, გადაადგილება, გადაწონვა და ა.შ. (ჯიჯავაძე, კუხალეიშვილია 2019: 94)

ჩვენს მიერ შერჩეულ სამიზნე საბავშვო ბაღში დაიწყო თამაშის ხარისხის ხელშეწყობაზე ზრუნვა. ამ პროცესში კი მნიშვნელოვანია „სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი, მყუდროდ მოწყობილი ოთახი, ხის ფაქტურის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით“. (დოლიძე, ბარბაქაძე, ჯიჯავაძე 2020: 38) სწორედ ამ მიზნის მისაღწევად დავიწყეთ ახალი ავეჯის შერჩევა და შეძენა, რომელიც თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად ჯგუფის ცენტრებად მოწყობის შესაძლებლობას იძლევა.

ავეჯის შეძენის პროცესში დაიგეგმა ჯგუფის ოთახების ერთ ფერში გადაღებვა, ცენტრებად მოწყობა და ბუნებრივი მასალებით მომარაგება. „ბუნებრივი მასალა – ნებისმიერი მასალა, რომლის შეგროვებაც ბუნებაში არის შესაძლებელი: კენჭი, ნიჟარა, ბუმბული, ფოთლები, მცენარეთა ფესვები, ხავსი, ცხოველების ბეწვი და ა.შ“ (დოლიძე, ბარბაქაძე, ჯიჯავაძე 2020: 71). ზემოაღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ბავშვები სრულიად გაახლებულ უნივერსალური დიზაინის პრინციპით მოწყობილ ჯგუფის ოთახებში დაბრუნდნენ.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე ცვლილებების განხორციელებამ საბავშვო ბაღებში ცხადჰყო, რომ ბავშვებში თამაშის ხარისხი გაუმჯობესდა, „რაც უფრო მრავალფეროვან თამაშებს შესთავაზებს აღმზრდელი ბავშვებს, სხვადასხვა მასალის გამოყენებით, მით უფრო მაღალი იქნება ბავშვების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში და, ამავე დროს, ხელი შეეწყობა მათ ჰოლისტურ განვითარებას“ (დოლიძე, ბარბაქაძე, ჯიჯავაძე 2020: 66). ამ ყველაფრის სწორად წარმართვას ხელი შეუწყო სისტემატური ხასიათის შეხვედრებმა საბავშვო ბაღების წარმომადგენლებთან და მშობლებთან, მშობელთა ჩართულობის გაუმჯობესებამ, საბავშვო ბაღის ჯგუფებისა და ეზოს ცენტრებად მოწყობამ. რაც ყველაზე მთავარია, აღმზრდელებს და მშობლებს შეეცვალათ წარმოდგენა თამაშის მნიშნელობასა და აქტუალობაზე, მოხდა თანამშრომლობის განმტკიცება და საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა; ჩატარებული კვლევის შედეგად თამაშის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გადასაჭრელი საკითხების დროულად განხილვა და მოგვარება.

თამაშის შესახებ საბავშვო ბაღების თანამშრომლებსა და მშობლებს შორის არსებული ცოდნისა შესახებ კვლევის ანგარიში მიეწოდა ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებას, რეკომენდაციის სახით, მასზე შემდგომი რეაგირებისთვის, რასაც შედეგად მოჰყვა ბაღების გაერთიანების მხრიდან სამიზნე საბავშვო ბაღებში კვლევის პროცესში წამოჭრილი გამოწვევების დროულად მოგვარება და თამაშის ხარისხის გაუმჯობესება მშობლების, ბავშვთა ოჯახების, თემის, საბავშვო ბაღის თანამშრომლობითა და მხარდაჭერით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დოლიძე, ბაქრაძე, ჯიჯავაძე (2020) ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში. ნაწილი I. თბილისი.
2. აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული სტანდარტი 2018: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837404
3. ჯიჯავაძე, კუხალეიშვილია (2019) ადრეული და სკოლამდელი ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი, გაეროს ბავშვთა ფონდი 2019;
4. დოლიძე, ბაქრაძე, ჯიჯავაძე (2020) ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში. ნაწილი II. თბილისი.

[1] Preview (matsne.gov.ge)

www.tpdc.ge